

საქართველო

ერთი გუნდით, ერთი სტრატეგიით, საქართველო მიზნისკენ - ქვეყნის თავდაცვისა და უსაფრთხოებისთვის



საქართველო, რეგიონის წინაშე მდგარი უსაფრთხოების მწვერვალზე გამორჩევი მიზნების მიხედვით, გეგმიურად დასაწესებრივ-ანტიტერორისტულ საზოგადოებასთან დასაწყობების გზაზე. საქართველო ქალისებურად არ იშვიათად იყოს სანდო პარტნიორი, რომელიც განუხრავლად იტყვის საყოველთაოდ აღიარებულ დემოკრატიულ პრინციპებს, აღიარებს უფლებებს და არის პასუხისმგებლობის მქონე მოთავეზე საქართველოს არაფაქტობრივად. ამ მიზნების განსახორციელებლად, ჩვენს ქვეყანას სჭირდება მკლავრი ფარი საგარეო აგრესიის შესაქვემდებარებად, არსებულ გამორჩევი საკონსულტაციო და პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური განვითარებისთვის საქართველოს პირობების შესაქვემდებარებად. აღნიშნული მიზნის მიხედვით, საქართველო კარგად აღჭურვილი და სთანადოდ განვითარებული, მაღალი საგარეო გავლენის მქონე შეიარაღებული ძალები.

ლევან იზორია

GDRP - ანტი-საქართველოს პირველი, ყველაზე ავტორიტარული პროექტი საქართველოს შეიარაღებული ძალების ისტორიაში



გვ.2

ნატო-საქართველოს არსებითი პაქტი 2018 კონფერენცია



გვ.4

პროექტი ჩვენი ჯარი



გვ.6

რა არის რილი ძალა და როგორ იყენებს მას მოქალაქეებმა?



გვ.5

დაუფრთხავი სამხედრო მოსამსახურე ნარკოტიკულ ფარმაცეუტის საქმიანობას ეწევა



გვ.7



GDRP - აშშ-საქართველოს პირველი, ყველაზე ავანტიურული პროექტი საქართველოს შეიარაღებული ძალების ისტორიაში



„საქართველო, რეგიონის წინაშე მდგარი უსაფრთხოების მწვავე გამოწვევების მიუხედავად, მტკიცედ დგას ევრო-ატლანტიკურ საზოგადოებასთან დაახლოების გზაზე. საქართველო ძალისხმევას არ იშურებს იყოს სანდო პარტნიორი, რომელიც განუხრელად იცავს საყოველთაოდ აღიარებულ დემოკრატიულ პრინციპებს, ადამიანის უფლებებს და არის პასუხისმგებლობის მქონე მათამაშე საერთაშორისო არენაზე. ამ მისწრაფებების განსახორციელებლად, ჩვენს ქვეყანას სჭირდება მძლავრი ფარი საგარეო აგრესიის შესაკავებლად, არსებულ გამოწვევებს საპასუხოდ და პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური განვითარებისთვის საჭირო პირობების შესაქმნელად. აღნიშნული მიზნის მისაღწევად კი, საჭიროა კარგად აღჭურვილი და სათანადოდ გაწვრთნილი, მაღალი საბრძოლო მზადყოფნის მქონე შეიარაღებული ძალები“, - აცხადებს საქართველოს თავდაცვის მინისტრი ლევან იზორია.

სწორედ აღნიშნული მიზნების მისაღწევად, საქართველოს შეიარაღებული ძალების ისტორიაში პირველად, ამერიკის შეერთებული შტატებისა და საქართველოს ყველაზე ამბიციური პროექტი - საქართველოს თავდაცვის მზადყოფნის პროგრამა (GDRP) დაიწყო. „საქართველო-აშშ-ის თანამშრომლობის ფარგლებში ახალი ეპოქა იწყება, რომელიც გრძელვადიან პერსპექტივებში ჩვენი ქვეყნის თავდაცვისუნარიანობას, თითოეული მოქალაქის დაცულობის ხარისხს უფრო გაზრდის და გააძლიერებს“, - ამ სიტყვებით შეაფასა საქართველოს თავდაცვის მინისტრმა ლევან იზორიამ GDRP-ის დაწყება.

საქართველოს შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის ხელმძღვანელობა კი ამ ამბიციურ პროექტს „ახალ სისხლს“ უწოდებს, რომელიც ქართულ ჯარს კიდევ უფრო გააჯანსაღებს. გენერალურ შტაბში განმარტავენ, რომ პროგრამის ფარგლებში მომზადებული სამანევრო ბატალიონები გახდება ის ბაზისი, რომელზეც თვისობრივად ახალი, ნატოს სტანდარტებთან თავსებადი და ამოცანაზე ორიენტირებული შეიარაღებული ძალები დაშენდება.

საქართველოს თავდაცვის მზადყოფნის პროგრამა (GDRP) 18 მაისს ოფი-

ციალურად დაიწყო. მისი პრეზენტაცია ვაზიანის აეროდრომის მიმდებარე ტერიტორიაზე, საბრძოლო მომზადების ცენტრის (CTC) გახსნასთან ერთად მოხდა.

ყველაზე ამბიციური პროექტის სტარტის აღება აშშ-ის ევროპული სარდლობის მეთაურის, ნატოს მოკავშირე ძალების უმაღლესი მთავარსარდლის, გენერალ კურტის სკაპაროტის საქართველოში ვიზიტს დაემთხვა. „ამერიკის შეერთებული შტატები ამაყია, რომ საქართველოს გვერდით დგას. ვზეიმობთ პარტნიორობის ახალ ეტაპზე გადასვლას. საქართველოს თავდაცვის მზადყოფნის პროგრამა ადასტურებს, რომ ორ ქვეყანას შორის არსებული პარტნიორობა ერთობლივ ღირებულებებს, გამოცდილებასა და ხედვებს ემყარება. პროგრამა შავი ზღვის რეგიონის უსაფრთხოებას ემსახურება და შესაბამისად, ევროპის უსაფრთხოების არქიტექტურას უზრუნველყოფს“, - ასე აფასებს ამერიკელი გენერალი სკაპაროტი აშშ-საქართველოს ერთობლივ ამბიციურ პროექტს.

საქართველოს თავდაცვის მზადყოფნის პროგრამის ფარგლებში მიმდინარე მომზადებას ახლადგახსნილი საბრძოლო მომზადების ცენტრი (CTC) და ნატო-საქართველოს წვრთნისა და შეფასების ერთობლივი ცენტრი (JTEC) მასპინძლობს. GDRP-ის პროგრამის ფარგლებში დაკომპლექტდება, აღჭურვება და გაიწვრთნება შეიარაღებული ძალების ცხრა



სამანევრო ბატალიონი. თითოეული ბატალიონის მომზადება უშუალოდ პროგრამის ფარგლებში 3 თვის განმავლობაში განხორციელდება.

საქართველოს შეიარაღებული ძალების IV მექანიზებული ბრიგადის 43-ე ბატალიონი პირველი ქვედანაყოფია, რომელიც GDRP-ის ფარგლებში 3-თვიან მომზადებას გადის. „ეს უპრეცედენტო შემთხვევაა შეერთებული შტატების არმიასა და ქართულ შეიარაღებულ ძალებს შორის, როდესაც ცხრა სამანევრო ბატალიონი არა სამშვიდობო მისიისთვის, არამედ ქვეყნის თავდაცვისუნარიანობისთვის გაიწვრთნება. ძალიან მნიშვნელოვანია, რომ ქართული ქვედანაყოფები წვრთნებს საქართველოს ტერიტორიაზე იმ რეალური ამოცანებისთვის გაივლიან, რაც საქართველოს თავდაცვისთვისაა აუცილებელი. ეს ყველაფერი ამერიკელი პარტნიორების მხარდაჭერით ხდება“, - ამბობს 43-ე ბატალიონის მეთაური, ვიცე-პოლკოვნიკი ლაშა დავითაძე.

საქართველოს თავდაცვის მზადყოფნის პროგრამაში უშუალო ჩართვამდე თითოეული ქვედანაყოფი წინამოსამზადებელ სწავლება-შეფასებას ნატო-საქართველოს წვრთნისა და შეფასების ერთობლივი ცენტრის (JTEC) ინსტრუქტორების დახმარებით გადის. სწავლების დროს ქვედანაყოფები ისეთ უნარ-ჩვევებს იმაღლებენ, როგორცაა ათეულის, ოცეულის თუ ასეულის ტაქტიკური გადაადგილება, ჩასაფრება და სხვა თავდაცვითი თუ

შეტევითი ამოცანების შესრულება. GDRP-ის აქტიური ფაზა 2021 წლამდე გაგრძელდება. პროგრამის განხორციელება საქართველოს თავდაცვის სამინისტროსა და აშშ-ის თავდაცვის დეპარტამენტს შორის უსაფრთხოების სფეროში 2016-2019 წლებისთვის ჩარჩო ხელშეკრულების ერთ-ერთ მთავარ კომპონენტს წარმოადგენს. დოკუმენტს ხელი თავდაცვის მინისტრმა ლევან იზორიამ და აშშ-ის თავდაცვის მდიანის თანაშემწის მოადგილემ მაიკლ კარპენტერმა მოაწერეს.

საქართველოს თავდაცვის მზადყოფნის პროგრამა ორი კომპონენტის ერთობლიობას წარმოადგენს: მზადყოფნის პროგრამა წვრთნა (GDRP-T) და მზადყოფნის პროგრამა - ინსტიტუციური განვითარება (GDRP-I).

წვრთნის ნაწილში (GDRP-T) აშშ-ის ევროპული სარდლობის სამხედრო მოსამსახურეები. ამერიკელი ინსტრუქტორების დახმარებით ხორციელდება ქვეითი ასეულების მომზადება და შეფასება საქართველოს ტერიტორიული თავდაცვის ამოცანების შესასრულებლად. ასეულები ამოცანის აუცილებელ დავალებათა ნუსხით გათვალისწინებულ დავალებების შესრულებაში სამანევრო ბატალიონების შემადგენლობაში მზადდებიან. საქართველოს თავდაცვის მზადყოფნის პროგრამა, მისი განხორციელების პირველ ეტაპზე, აშშ-ის ევროპული სარდლობის ინსტრუქტორების ხელმძღვანელობით და მენტორობით ჩატარდება. შემდგომ წლებში უფლებამოსილებასა და პასუხისმგებლობას ქართველ ინსტრუქტორებს გადააბარებენ, ხოლო 2020 წლიდან აღნიშნულ პროგრამას საბრძოლო მომზადების ცენტრის (CTC) ქართველი ინსტრუქტორები სრულად უხელმძღვანელებენ.

ინსტიტუციური განვითარების ნაწილის (GDRP-I) განხორციელებაში კი, ჩართულები არიან აშშ-ის თავდაცვის დეპარტამენტის თავდაცვის მართვისა და მენეჯმენტის ჯგუფის მრჩეველები. აღნიშნული პროგრამის მიზანია თავდაცვის სამინისტროსა და გენერალური შტაბის მხარდაჭერა სტრუქტურების, პროცესებისა და სისტემების ინსტიტუციურად განსავითარებლად, რათა შეიარაღებულმა ძალებმა მომავალში საბრძოლო მზადყოფნის უზრუნველყოფა შეძლონ.



ნაპოსთან ერთად ვაგაჩიშვიტ მუვილოგასა და უსაფრთხოებას მსოფლიო- ლევან იზორია



საპარტამენტოს თავდაცვის სამინისტრო

7-8 ივნისს ბრიუსელში ნატოს თავდაცვის მინისტრიალს უმასპინძლა. მინისტრიალში მონაწილეობის მიზნით, ბელგიის სამეფოში საქართველოს თავდაცვის სამინისტროს დელეგაცია, თავდაცვის მინისტრის, ლევან იზორიას ხელმძღვანელობით იმყოფებოდა. საქართველოს თავდაცვის მინისტრმა „მტკიცე მხარდაჭერის“ მისიის (RSM) ფორმატში ნატოსა და პარტნიორი ქვეყნების თავდაცვის მინისტრების შეხვედრაში მიიღო მონაწილეობა. სხდომა ნატოს გენერალურმა მდივანმა იენს სტოლტენბერგმა გახსნა და აღნიშნა, რომ ავღანეთისთვის ნატოსა და პარტნიორი ქვეყნების მხარდაჭერა სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია: „ვზრდით კონტინგენტს ჩვენ საწვრთნელ მისიაში და ვაგრძელებთ ავღანეთის ძალებისთვის ფინანსურ უზრუნველყოფას, რათა მათ საკუთარი ძალებით შეძლონ ქვეყანაში უსაფრთხოების შენარჩუნება“.

დაწყებამდე, 6 ივნისს გამართულ პრესკონფერენციაზეც გაამახვილა ყურადღება: „სამიტზე აღიარებული

ინსტიტუტების მოდერნიზების კუთხით. ეს ეხება კანონის უზენაესობას და იმასაც, რომ საქართველო



საპარტამენტოს თავდაცვის სამინისტრო

იქნება საქართველოს მიერ მიღწეული პროგრესი რეფორმების გატარების, თავდაცვისა და უსაფრთხოების

კორუფციასთან ბრძოლას განაგრძობს. ზუსტად როგორ გავაკეთებთ ამას ჯერ არ ვიცით, მაგრამ დარწ-

შეხვედრაზე სიტყვით გამოვიდა საქართველოს თავდაცვის მინისტრი. ლევან იზორიამ კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ საქართველო ნატოს წინაშე აღებული ვალდებულებების ერთგული რჩება და მისიაში მონაწილეობას არსებული შემაღგენლობით განაგრძობს: „შესაძლებლობა მაქვს საქართველოს სახელით საჯაროდ განვაცხადო მტკიცე პოზიცია, რომ საქართველო გააგრძელებს იმ ვალდებულებების შესრულებას, რაც საერთაშორისო მისიების განხორციელების თვალსაზრისით აქვს აღებული. საქართველო ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კონტრიბუტორი ქვეყანაა და ავღანეთში მომავალშიც იმ რაოდენობით გაგვგრძელებთ მისიის შესრულებას, რა რაოდენობითაც დღეს ვართ წარმოდგენილები“, - განაცხადა ლევან იზორიამ.

მსოფლიო უსაფრთხოების უზრუნველყოფის პროცესში საქართველოს კონტრიბუციის მნიშვნელობაზე იენს სტოლტენბერგმა მინისტრიალის

მუნებელი ვარ, რომ მოკავშირეები ივლისის სამიტზე აღიარებენ საქართველოს პროგრესს“- აღნიშნა იენს სტოლტენბერგმა. სამიტზე, რომელიც 2018 წლის 11-12 ივლისს ბრიუსელში გაიმართება, მკაფიო მოლოდინები აქვს ასევე, საქართველოს თავდაცვის მინისტრს: „გვაქვს მოლოდინი იმისა, რომ პროგრესი, რაც საქართველოსთან კავშირში დაფიქსირდა, საჯაროდ გაცხადდება. რასაც საქართველო ივლისის სამიტზე მიიღებს, ჩვენი ქვეყნის ნატოში გაწევრიანების გზაზე მყარი საფუძველი და წინგადადგმული ნაბიჯი იქნება“. როგორც თავდაცვის მინისტრმა აღნიშნა, საქართველომ არა მხოლოდ გლობალური უსაფრთხოების განმტკიცების თვალსაზრისით მიადწია პროგრესს, არამედ, განხორციელებული რეფორმებით მოწინავე და სამაგალითო ქვეყანაა, ნატოს მიერ გაცხადებული სტრატეგიული ამოცანების შესრულების კუთხით.

ნატოს ახალ შტაბ-ბინაში გამართული მინისტრიალის ფარგლებში საქართველოს თავდაცვის მინისტრმა სხვადასხვა ქვეყნის კოლეგა მინისტრებთან ორმხრივი შეხვედრები გამართა. ხორვატმა, უნგრელმა, შვედმა, რუმინელმა, უკრაინელმა კოლეგებმა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისა და ნატოში ინტეგრაციის გზაზე მხარდაჭერა კიდევ ერთხელ გამოხატეს. კოლეგებმა თავდაცვის სფეროში ორმხრივი თანამშრომლობის საკითხები განიხილეს და კავშირების გაღრმავების პერსპექტივებზე იმსჯელეს. საქართველოსა და ხორვატიის თავდაცვის სამინისტროებს შორის თავდაცვის სფეროში ურთიერთგაგების პირველი მემორანდუმი გაფორმდა, რაც ორ ქვეყანას შორის თავდაცვის სფეროში თანამშრომლობას უფრო ინტენსიურს გახდის. დოკუმენტს ხელი საქართველოს თავდაცვის მინისტრმა ლევან იზორიამ და მისმა ხორვატმა კოლეგამ დამირ კრსტინევიჩმა მოაწერეს.





ნატო-საქართველოს არსებითი პაკეტი 2018 კონფერენცია



4 ივნისს საქართველოში ოფიციალური ვიზიტით ნატოს ტრანსფორმაციის გაერთიანებული სარდლობის მეთაური გენერალ დენის მერსიე იმყოფებოდა. გენერალ დენის მერსიესთან საქართველოს შეიარაღებული ძალების გენერალურ შტაბში დახვედრის ოფიციალური ცერემონიალი გაიმართა, რის შემდეგაც ორმხრივი შეხვედრები დენის მერსიეს, თავდაცვის მინისტრსა და გენერალური შტაბის უფროსთან შედგა.

შეხვედრაზე საუბარი იმ პროგრესს შეეხო, რასაც საქართველომ ნატოსთან თანამშრომლობის კუთხით მიაღწია. მხარეებმა ყურადღება ნატო-საქართველოს არსებითი პაკეტის (SNGP) განხორციელების პროცესსა და კონკრეტულად, ნატო-საქართველოს წვრთნებისა და შეფასების ერთობლივ ცენტრზე (JTEC) გაამახვილეს, რომელიც ნატოს ტრანსფორმაციის გაერთიანებულ სარდლობასთან მჭიდროდ თანამშრომლობს.

„ჩვენ ვხედავთ, როგორ მიიწვევს საქართველო წინ, რათა დააკმაყოფილოს ნატოს მოთხოვნები. მოდერნიზაციის კუთხით მიღწეული პროგრესი ძალიან მნიშვნელოვანია. ჩვენ ერთობლივად ვმუშაობთ საერთო მიზნის მისაღწევად - გავაძლიეროთ ჩვენი თავდაცვა და უზრუნველყოთ მეტი მშვიდობა და უსაფრთხოება“, - ეს გზავნილი ნატოს ტრანსფორმაციის გაერთიანებული სარდლობის (SACT) მეთაურმა, გენერალმა დენის მერსიემ, საქართველოს თავდაცვის მინისტრთან შეხვედრის შემდეგ გააჟღერა. საქართველოს თავდაცვის მინისტრმა სტუმარს ნატოს ურყევი პოლიტიკური და პრაქტიკული მხარდაჭერისთვის მადლობა გადაუხადა და ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის გაძლიერებისა და ნატოსთან დაახლოების მიზნით, თავდაცვის სფეროში განხორციელებული და მიმდინარე რეფორმები გააცნო. ლევან იზორიას განცხადებით, გენერალ დენის მერსიეს ვიზიტი

საქართველოს, როგორც ნატოს ასპირანტი ქვეყნის მიმართ, აღიანის ურყევ მხარდაჭერას ადასტურებს. შეხვედრაზე მინისტრმა „ნატო-საქართველოს არსებითი პაკეტი 2018 კონფერენციის“ მნიშვნელობაზეც ისაუბრა და აღნიშნა, რომ საქართველომ უელსის სამიტის შემდეგ გადადგა მთელი რიგი ნაბიჯები რათა ამ პაკეტით გათვალისწინებული ინიციატივების განხორციელებაში ქვეყანას კონკრეტული, ხელშესახები წარმატებები ჰქონდეს. სწორედ აღნიშნული წარმატებები და არსებული მიღწევები განიხილეს „ნატო-საქართველოს არსებითი პაკეტი 2018 კონფერენციაზე“, რომელიც საქართველოს თავდაცვის მინისტრმა ნატოს ტრანსფორმაციის გაერთიანებული სარდლობის მეთაურ, გენერალ დენის მერსიესთან, საგარეო საქმეთა მინისტრ მიხეილ ჯანელიძესთან და საქართველოში ბულგარეთის ელჩთან ერთად გახსნა.

მისასაღმებელ სიტყვაში ლევან იზორიამ პროექტის მნიშვნელობაზე ისაუბრა. „დღეს ჩვენ პროგრესის გზაზე ვდგავართ. მინდა კიდევ ერთხელ გადავუხადო მადლობა ნა-

ტოს საქართველოს სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის მხარდაჭერისთვის. დღევანდელი კონფერენცია ნატო-საქართველოს არსებითი პაკეტის მიღწევებსა და შესაბამისად, 2014 წლის უელსის სამიტის შემდეგ საქართველოს წარმატებას აღნიშნავს. 10 წელი სრულდება ბუქარესტის სამიტზე მიღებული დეკლარაციიდან, რომლის დროსაც გაცხადდა, რომ საქართველო ნატოს წევრი გახდება. „ნატო-საქართველოს არსებითი პაკეტი 2018 კონფერენცია“ პროექტია, რომელიც წარმოადგენს ეროვნული მასშტაბის პრიორიტეტს და მრავალმხრივ დოკუმენტს, და მოიცავს 14 ინიციატივას სხვადასხვა რესურსისა და განსახორციელებელი ღონისძიებების შესახებ. ეს არის პროექტი, რომელსაც აქვს დიდი შესაძლებლობები და სიღრმე. ეს არის შთამაგონებელი მაგალითი, ნატოს თავდაცვის შესაძლებლობების, აღმშენებლობის სხვა ინიციატივებისთვის“- განაცხადა ლევან იზორიამ.

„ნატო-საქართველოს არსებითი პაკეტი 2018 კონფერენცია“ ჩრდილო-ატლანტიკური აღიანის, საქართველოსა და ბულგარეთის საელჩოს მიერ



ერთობლივად დაიგეგმა. კონფერენციის მიზანია აჩვენოს თუ როგორ შეუძლია შ -ის სტრუქტურას, ორგანიზაციასა და განხორციელების მექანიზმებს გახდეს განმეორებითი მოდელი ნატო-ს სხვა „თავდაცვისა და უსაფრთხოების აღმშენებლობის“ (DCB) ინიციატივებში. სასურველი შედეგის მისაღწევად კი აუცილებელია უწყებათაშორისი მიდგომა და ნატო-ს სტრუქტურების, მოკავშირეებისა და პარტნიორების სრულფასოვანი ჩართულობა.

სამუშაო ჯგუფებად დაყოფილმა უცხოელმა სტუმრებმა ქართველ კოლეგებთან ერთად ისეთი საკითხები განიხილეს, როგორცაა: საქართველოს სტრატეგიული და ოპერატიული პროგრამების ურთიერთ თავსებადობა, როგორც სამთავრობო უწყებებთან, ასევე, ნატოს წევრ ქვეყნებთან და პარტნიორებთან; ტოტალური თავდაცვის კონცეფცია; ადამიანური, ორგანიზაციული, ფინანსური, ინფრასტრუქტურული და საგანმანათლებლო რესურსები.

ცერემონიალის ოფიციალურად გახსნის შემდეგ, თავდაცვის უწყების ხელმძღვანელმა, ნატოს ტრანსფორმაციის გაერთიანებული სარდლობის მეთაურთან, გენერალმა დენის მერსიესთან და საგარეო საქმეთა მინისტრ მიხეილ ჯანელიძესთან ერთად, პანელში „საქართველოს თავდაცვის შესაძლებლობებსა და ინსტიტუციონალურ აღმშენებლობაზე ნატო-საქართველოს არსებითი პაკეტის გავლენა“ მიიღო მონაწილეობა. პანელს ბულგარეთის ელჩი საქართველოში დესისლავა ივანოვა მოდერატორობდა.

„ნატო-საქართველოს არსებითი პაკეტი 2018 კონფერენცია“ (SNGP) ოფიციალურად სამი დღე გაგრძელდა და ის საქართველოს თავდაცვის მინისტრის პირველმა მოადგილემ ლელა ჩიქოვანმა დახურა. მან, მონაწილეებს მადლობა გადაუხადა და განაცხადა, რომ საქართველო ნატოს სტანდარტებს კიდევ უფრო დაუახლოვდა და დაგროვილ გამოცდილებას სხვა ქვეყნებსაც უზიარებს. „შემიძლია განვაცხადო, რომ არასოდეს საქართველო ისე ახლოს არ ყოფილა ნატოსთან, როგორც დღეს“!

ღონისძიების დასკვნით დღეს სინდიკატების ხელმძღვანელებმა სამუშაო პროცესი შეაფასეს და შემაჯამებელი პრეზენტაციები წარმოადგინეს. ექსპერტების განცხადებით, ნატო-საქართველოს არსებითი პაკეტის ყველა ინიციატივა გეგმის მიხედვით სრულდება, თუმცა პროცესის ბოლომდე მისაყვანად სამუშაოები აქტიურად უნდა გაგრძელდეს. ნატო-საქართველოს არსებითი პაკეტის ინიციატივებზე აქტიური მსჯელობა და მიმდინარე პროცესების შეფასება გასულ წელს დაიწყო, როცა „SNGP-ის სინქრონიზაციის სამუშაო შეხვედრა“ გაიმართა. სამუშაო შეხვედრის მიზანი ახალ სტრატეგიულ მიმართულებაზე საერთო მიდგომის მიღწევა, საერთაშორისო მხარდაჭერის კონსოლიდაცია და დუბლირებული ძალისხმევის თავიდან აცილება იყო.



რა არის რბილი ძალა და როგორ იყენებს მას მონინალეგია?

თანამედროვე ეპოქის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს მახასიათებლად საინფორმაციო და ფსიქოლოგიური ზემოქმედებით მოწინააღმდეგეზე გავლენის მოპოვება იქცა. საინფორმაციო ტექნოლოგიების განვითარება კი მოწინააღმდეგეზე ეფექტური ზემოქმედების საშუალებას იძლევა. შესაბამისად, საინფორმაციო ომი პიბრიდული ომის უმნიშვნელოვანესი ნაწილი გახდა.

საინფორმაციო ომის ერთ-ერთი მთავარი მიმართულება პროპაგანდა - მცდარი, ცრუ ინფორმაციის გავრცელება. დეზინფორმაცია სასურველი საინფორმაციო გარემოს ჩამოყალიბებისათვის მოწინააღმდეგის არასასურველი ღირებულების, ორგანიზაციის ან პიროვნების დისკრედიტაციას შეიძლება ისახავდეს მიზნად.

ამასთანავე მოწინააღმდეგის პროპაგანდისტული ტაქტიკა მხოლოდ ადამიანების დეზინფორმირებასა და ამით ნეგატიური განწყობების შექმნას არ ემყარება. განწყობების ჩამოყალიბებისათვის უმნიშვნელოვანესი როლი ღირებულებებსა და ადამიანის იდენტობის განმსაზღვრელ ფაქტორებს ენიჭებათ. აღნიშნული, საინფორმაციო-კულტურული ზეგავლენის შედეგად მიიღწევა, რასაც რბილი ძალის (SOFT POWER) გამოყენებასაც უწოდებენ.

რბილი ძალის კონცეფციის ავტორმა ამერიკელმა მეცნიერმა, ჯოზეფ ნაიმ აღნიშნული კონცეფცია თავის წიგნ-

ში „რბილი ძალა - მსოფლიო პოლიტიკაში მიზნის მიღწევის საშუალება“ წარმოადგინა. „უხეში ძალის“ თეორიისაგან განსხვავებით, „რბილი ძალის“ თეორია სასურველი მიზნის მისაღწევად მისაღები იმიჯის ფორმირებასა და მიმზიდველობას ეფუძნება. ცხადია, ასეთ დროს ძირითადია ღირებულებებით და იდეოლოგიურ-ინტელექტუალური ფაქტორები.

ხშირად ისმის კითხვა: რატომაა საშიში მტრული სახელმწიფოს კულტურის, განათლებისა და მეცნიერების პროპაგანდა? ხშირად ამბობენ, რომ აღნიშნულ ინსტრუმენტებს ყველა სახელმწიფო იყენებს და ამაში ცუდი და უცნაური არაფერია.

უნდა ითქვას, რომ აღნიშნული მოსაზრება არ ითვალისწინებს რუსული „რბილი ძალის“ სპეციფიკას. მთავარი განმასხვავებელი ფაქტორი სწორედ ღირებულებებია. დასავლური ღირებულებებისაგან განსხვავებით, რომელიც სიცოცხლის უფლების, თავისუფლების, კერძო საკუთრების ხელშეუხებლობას ეფუძნება და რომლის ცენტრალურ იდეას ადამიანი და მისი უფლებები წარმოადგენს, რუსული SOFT POWER „ველიკოდერჟავული“ ღირებულებებსა და ფუძემდებელი, ტრადიციონალისტური შეფუთვით ის ცდილობს გააჩინოს ევროპულისაგან განსხვავებული რუსული იდენტობა და რუსული სამყარო. შესაბამისად, მისი თემა ევროპული ღირებულებების დისკრედიტაცია და მის ნაცვლად საპირისპირო ღირებულებების შეთავაზება.

მეორე მნიშვნელოვანი თავისებურება ისაა, რომ იმპერიალისტური პოლიტიკის გასატარებლად მთელი სახელმწიფო მის იდეოლოგიურ და საინფორმაციო უზრუნველყოფას ახდენს. საკანონმდებლო დონეზე „რბილი ძალის“ ერთ-ერთი მაგალითია რუსეთის ფედერაციის „კანონი თანამემამულეთა შესახებ“, სადაც ყოფილი საბჭოთა კავშირის ყველა მოქალაქე პოტენციურ „თანამემამულედ“ მოიაზრება. „რუსული სამყაროს“ ფორმირებისათვის დიდი მატერიალური რესურსი იხარჯება, რომელთა აკუმულირება სხვადასხვა სახელმწიფოში არსებულ ფონდებში ხდება და არასამთავრობო თუ მედიორგანიზაციების დაფინანსებით „ველიკოდერჟავული“ მიზნების განხორციელებას უწყობს ხელს.

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი თავისებურება ისაა, რომ რუსეთი აქცენტს აკეთებს არა სხვა აქტორების ინტერესების გათვალისწინებაზე, არამედ დასჯაზე, რათა უარესის მოლოდინის შიშით დაუთმონ. შესაბამისად, დასჯა და ძალის დემონსტრირება მათი სტრატეგიის მნიშვნელოვანი ასპექტია. მათი ურთიერთობების ფორმატი დაფუძნებულია არა თანამშრომლობაზე, არამედ იძულებაზე. ასეთი პოლიტიკის მიზანი, დომინანტური მდგომარეობის განმტკიცება და მეტი „პატივისცემის“ მოპოვებაა. ცხადია, ასეთი პოლიტიკა, ერთი შეხედვით, გამორიცხავს რბილი ძალის მოქმედებას, რასაც ზოგიერთი მიმომხილველიც ხაზს უსვამს. თუმცა, აქ გასათვალისწინებელია, რომ რუსული რბილი

ძალის ობიექტი სახელმწიფოებრივი ინტერესის დაკმაყოფილება არ არის. პირიქით, მისი ინტერესია აღნიშნული სახელმწიფოების მოქალაქეები საკუთარი ქვეყნისა და ევროპული ღირებულებების წინააღმდეგ განაწილდეს და რუსული კულტურული იდენტობის ნაწილად აქციოს.

პრორუსულ ორგანიზაციებს ძირითადად ვსევდოპატრიოტული შეფუთვა აქვს. მათ ასეთი პოზიციონირება მხოლოდ ქაოსის პროვოცირებისა და დასავლური ღირებულებების დისკრედიტაციისათვის სჭირდებათ.

მოწინააღმდეგე აღნიშნული მიზნების მიღწევას ცდილობს ყველა იმ საშუალებით, რაც ადამიანის იდენტობას და ღირებულებით თანახიარობას იწვევს.

საბჭოთა ნოსტალგიის გაჩენა, ძველი კულტურისა და ხელოვნების იმნიშვნელოვანი პროპაგანდა, რაც საერთო კულტურულ იდენტობასთანაა დაკავშირებული, მიზნად ისახავს არა ხელოვნებასა და კულტურაზე ზრუნვას, არამედ მათი ზემოხსენებული პოლიტიკის განხორციელებას.

მეორე მსოფლიო ომის თემატიკით სპეკულირება მიზნად ისახავს არა ფაშიზმის, როგორც ბოროტების დაგმობასა და მილიონობით გმირისთვის პატივის მიცემას, არამედ საერთო გამარჯვებასთან ასოცირებით საბჭოთა იდენტობის გაძლიერებას.

იმპერიალისტური და საბჭოთა სიმბოლიკის გავრცელება მიზნად ისახავს არა ისტორიის შესვენებას, არამედ საბჭოთა იდენტობასთან ასოცირების გაჩენას.

სტალინის კულტის პროპაგანდა მიზნად ისახავს არა სტალინის, როგორც ისტორიული პიროვნების რაიმე ტიპის როლის წარმოჩენას, არამედ საბჭოთა კავშირთან და საერთო სახელმწიფოსთან ასოციაციის გაძლიერებას.

შესაბამისად, ყველა ეს აქტივობა განმსჭვალულია იდეოლოგიით, რომელიც იმპერიალისტურ მიზნებსაც ემსახურება და რომელიც ქართული სუვერენული სახელმწიფოს იდენს საწინააღმდეგოა.

პროპაგანდის მანე ზემოქმედება ყველაზე ეფექტურად მაშინ მოქმედებს, როდესაც ადამიანი გარკვეულ საკითხებს არ აკვირდება და არ აანალიზებს.

როცა საკითხები გააზრებულია, ხოლო პასუხები კი მკაფიოდ ჩამოყალიბებული, ნაკლებად ეფექტურია პროპაგანდის ზემოქმედება. საკითხების წინ წამოწევა, რომელიც შესაძლოა სპეციალური დაკვირვების საგანი არ ყოფილიყო, ადამიანს ეხმარება გამოიკვლიოს და გამოიმუშაოს იმუნიტეტი მტრული პროპაგანდის მიმართ. შესაბამისად, ვიცოდეთ მეტი პროპაგანდის შესახებ ნიშნავს არ გავხდეთ იარაღი მტრის ხელში!





ქართველი ოფიცრის ჩვეულებიან ოჯახს თავდაცვის სამინისტრო ბინას გალასხავს



საქართველოს თავდაცვის სამინისტრო

საქართველოს შეიარაღებული ძალების უფროსი სერჟანტის ზაზა ფერაძის სახელობის საწყისი საბრძოლო მომზადების ცენტრის ოფიცერი, კაპიტანი ბესიკ მელიქიძე ის სამხედროა, რომელიც ქვეყნის სადარაჯოზე დგას და თან სამშობლოს რვა შვილს უზრდის. წარმოშობით საქართველოს ისტორიული მხარიდან - ჯავახეთიდანაა. ამჟამად, ოჯახთან ერთად ახალქალაქში ქირით ცხოვრობს.

ახალქალაქში ქართველ ოფიცერს საქართველოს თავდაცვის მინისტრი ლევან იზორია ესტუმრა და მეშვიდე და მერვე შვილების, ტყუპი ქალ-ვაჟის მარიამისა და მარკოზის შექმნა პირადად მიულოცა. „მიხარია, რომ ჩვენ გვეყვას სამაგალითო მამა, სამხედრო, რომელმაც როგორც ბრძოლის ველზე, ისე სამხედრო სამსახურის ფარგლებში თავი გამოავლინა თავისი ვაჟკაცობით, სიმამაცით, თავისი მართლმადიდებლური სულისკვეთებით და მოტივაციით, რომ ის მომავალშიც მუდამ თავისი ქვეყნის გამრავლების, ერთგულების და დაცვის საქმეში იქნება“, - ამ სიტყვებით დაახასიათა ლევან იზორიამ კაპიტანი მელიქიძე. მელიქიძეების მრავალშვილიან ოჯახში სტუმრობისას თავდაცვის მინისტრმა მიიღო გადაწყვეტილება - თავდაცვის სამინისტრო რვაშვილიან ოფიცერს, ახლო მომავალში, ბინას ახალქალაქში შეუქმნას.

ქართველ ოფიცერს ოთხი გოგონა და ოთხი ვაჟი ჰყავს. ოთხივე ბიჭს სახარების ავტორების სახელები ჰქვიათ - მათე, იოანე, ლუკა და მარკოზი. ქალიშვილებს კი, მშობლებმა წმინდანების სახელები დაარქვეს - ანა, ნინო, მართა და მარიამი.

„თავდაცვის მინისტრი ჩემს ოჯახში პირველად იმყოფებოდა. მან მოგვილოცა ტყუპების შექმნა, რამაც ძალიან გაგვახარა. თავდაცვის უწყების ხელმძღვანელის თანადგომა და მხარდაჭერა ჩვენთვის - სამხედრო მოსამსახურეებისთვის და ჩვენი ოჯახებისთვის დიდი სტიმულია. ბუნებრივია, ვაგრძელებ ჩემი მოვალეობის შესრულებას ღვთისა და ერის წინაშე“, - აღნიშნა ბესიკ მელიქიძემ.

კაპიტანი ბესიკ მელიქიძე ახალქალაქში, საწყისი საბრძოლო მომზადებ-



ის ცენტრის მიმდინარე სამშენებლო სამუშაოებზე, სამხედრო ნაწილის დაცვასა და უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი. ამავე დროს არის ახალქალაქისა და კუმურდოს ეპარქიის ტაძრის სტიქაროსანი. კაპიტანი მელიქიძე ჯავახეთში სამხედრო-სამოქალაქო ურთიერთობების კუთხით დაგეგმილ სხვადასხვა ღონისძიების განხორციელებაში მონაწილეობს; მათ შორისაა, ჯანსაღი ცხოვრების პოპულარიზაციის მიზნით ათკილომეტრიანი გარბენი, რომელშიც სამხედროები, სტუდენტები და ადგილობრივი, ძირითადად, სომხური მოსახლეობა მონაწილეობს. ასევე, საკონტრაქტო სამხედრო სამსახურში გაწვევის საინფორმაციო კამპანია, პროექტი - „ჩემი ჯარი“ სკოლებში, პირადი შემადგენლობის მიერ დახმარების გაწევა ახალქალაქისა და კუმურდოს ეპარქიის ეკლესია-მონასტრებისთვის.

ივანე ჯავახიშვილის სახელობის „მესხეთის“ ფილიალში იურიდიული ფაკულტეტის დასრულების შემდეგ, 2007 წელს, ბესიკ მელიქიძემ სამხედრო განათლების მიღება საქართველოს თავდაცვის ეროვნულ აკადემიაში მსუბუქ ქვეით ძირითად კურსზე გადაწყვიტა. გავლილი აქვს სხვადასხვა კურსი - ლოგისტიკის ოფიცრის ძირითადი კურსი, კაპიტნის საკარიერო კურსი, რეინჯერთა ბატალიონის კურსი.

სხვადასხვა დროს ბესიკ მელიქიძე შეიარაღებულ ძალებში მუშაობდა სამხედრო პოლიციის დეპარტამენტში, სპეციალური ოპერაციების ძალებში რეინჯერთა ასეულის მეთაურად, ეროვნულ თავდაცვის აკადემიაში იუნკერთა სასწავლო ჯგუფის მეთაურად.

მონაწილეობდა 2008 წლის აგვისტოს საომარ მოქმედებებში. დაჯილდოებულია III ხარისხის ორდენით საქართველოს შეიარაღებული ძალების რიგებში უმწიკვლო სამსახურისთვის, მედლით - „გენერალი კვინიტაძე“.



დაუპავეული სამხედრო მოსამსახურე წარმატებულ ფიზიკურ საქმიანობას ეწევა



დისტანციურ სირბილში მონაწილეობის მისაღებად ვემზადები. იმედს ვიტოვებ, რომ კიდევ ერთხელ ვასახელებ ჩემს ქვეყანას, - გვეუბნება რესპონდენტი.

საუბარში გზა სამხედროს კუთვნილ მიწის ნაკვეთებამდე მალე გაილია. სამხედრო მოსამსახურე ამჟამად სამკურნალო შევბუღებაშია და სახელფასო დანახოვით, მიუხედავად ადგილობრივების რჩევისა - „დაისვენო“, სოფლის მეურნეობის განვითარებაზე ზრუნვა გადაწყვიტა. ჯარისკაცს არაშენდაში მოჰყავს სოფლის მეურნეობის პროდუქტები, რომელთა რეალიზებაში „საქართველოს ფერმერთა ასოციაცია“ ეხმარება. სამხედრო მოსამსახურე ასოციაციაში 2016 წელს გაწევრიანდა.

გიორგიმ საკუთარ მეურნეობაში ადგილობრივებიც დაასაქმა. ჩვენი სტუმრობისას, არაშენდელები კომბოსტოს ჩითილებს რგავდნენ. ნაკვეთები თანამედროვე სარწყავი მექანიზმითაა დაფარული. ახალგაზრდა ფერმერი კონსულტაციებს ასოციაციის წევრებისგან იღებს და მათ რეგიონის სასოფლო-სამეურნეო საჭიროებებ-

თბილისში დიდიდან წვიმს... სერჟანტ გიორგი ბოჭორიშვილთან შეთანხმებული შეხვედრა გადადების პირასაა... გურუკავთ... „გორში მზეა და დიდიდან მინდორში ვმუშაობთ“, - გვეუბნება სამხედრო მოსამსახურე.

გზა მალე გაილია... უკვე გორის რაიონის სოფელ არაშენდაში ვართ... - გიორგი ბოჭორიშვილის სახლს ხომ ვერ მიგვასწავლით?! - ვეკითხებით ადგილობრივებს.

- საქართველოს დროშა რომ ფრიალებს, ის სახლია - გვაკვლიანებენ ისინი.

საქართველოს სახელმწიფო დროშამდე, ანუ სერჟანტ ბოჭორიშვილის სახლამდე, მანძილი ნელ-ნელა მცირდება... სამხედრო მოსამსახურე სოფლის ორღობეში გვეგებება...

სოფელ არაშენდაში ჩვენი სტუმრობის მიზეზი ის ჯარისკაცია, რომელიც, სამხედრო სამსახურის პარალელურად, წარმატებულ ფერმერულ საქმიანობას ეწევა.

30 წლის სერჟანტი გიორგი ბოჭორიშვილი საქართველოს შეიარაღებულ ძალებში 2006 წლიდან მსახურობს. სამხედრო მოსამსახურე სამშვიდობო მისიით ერაცსა და ავღანეთშიც იმყოფებოდა. 2010 წელს, ავღანეთში სამშვიდობო მისიის შესრულებისას, ქვედა კიდურზე დაზიანება მიიღო. საქართველოს თავდაცვის უწყების მხარდაჭერით, მან ორთვიანი სარეაბილიტაციო კურსი ჯერ გერმანიაში, შემდეგ საქართველოში გაიარა.

თავდაცვის უწყება ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობისთვის ბრძოლებსა და საერთაშორისო სამშვიდობო მისიებში დაშავებული ქართველი სამხედროების რეაბილიტაციისათვის სხვადასხვა პროექტს ახორციელებს. უწყება დაშავებული სამხედროების რეაბილიტაციის პროცესში სპორტს განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს. თანამებრძოლებთან ერთად, გიორგიც სპორტულ აქტივობებშია ჩართული. დაშავებული სამხედრო მოსამსახურე სპორტის სხვადასხვა სახეობას - კრივს, ფრენბურთსა და მძლეოსნობას მისდევს. საქართ-



ველოს თავდაცვის უწყების სახელით სპორტულ შეჯიბრებებში არაერთი ჯილდო აქვს მიღებული. სამხედრო მოსამსახურე სიამაყით იხსენებს 2016 წელს ამერიკის შეერთებულ შტატებში გამართულ „ძლიერთა თამაშებში“ მონაწილეობას, სადაც დისტანციაზე სირბილში მეორე ადგილის მფლობელი გახდა და პირადად დიდი ბრიტანეთის პრინცმა ჰარიმ დააჯილდოვა. ჯარისკაცი ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობისთვის ბრძოლებსა და საერთაშორისო სამშვიდობო მისიებში დაშავებული ქართველი სამხედროების მჯდომარე ფრენბურთის გუნდის წევრია. სერჟანტ ბოჭორიშვილს, დაშავებულ სამხედრო მოსამსახურეებთან ერთად, საერთაშორისო სპორტულ ასპარეზობებზე ხუთჯერანი დროშა არაერთხელ აღუმართავს. ჯარისკაცს საქართველოშიც აქვს სპორტული წარმატებები - კრივში საქართველოს ჩემპიონია. არის თბილისის, ვაზბეგის მარათონების გამარჯვებული. უამრავ ჯილდოს შორის, 2015 წელს საქართველოს პრეზიდენტის მიერ მისთვის გადაცემული ღირსების მედალიც არის. „ამჟამად „ძლიერთა თამაშებისთვის“,

ის შესახებ ინფორმაციას აწვდის. გიორგი წელს პომიდურის, კომბოსტოს, სიმინდის, ლობიოს, ქერის კარგ მოსავალს ელოდება, უფლის ვაშლის ბაღებს; სამომავლოდ კი, მეურნეობის გაზრდა-გაფართოებასაც აპირებს.

გიორგი ფიქრობს, რომ ქართულ სოფელს მოქალაქეების მხარდაჭერა, განვითარებაზე ზრუნვა სჭირდება, ხოლო ქვეყანას - დაცვა და გაძლიერება.

სერჟანტი ბოჭორიშვილის სახლი საოკუპაციო ხაზისგან არც ისე შორსაა. ის საკუთარი მოქალაქეობრივი პოზიციით ქვეყნის სადარაჯოზე დგას - როგორც სამხედრო იცავს ქვეყანას, დაშავების მიუხედავად, საქართველოს სახელით სპორტულ გამარჯვებებს აღწევს, სოფლის განვითარებაზე ზრუნავს. სწორედ ასეთ ადამიანებზე დგას საქართველოს სახელმწიფო.

სერჟანტ გიორგი ბოჭორიშვილის სახლის სახურავზე საქართველოს სახელმწიფო დროშა შორიდანაც კარგად ჩანს...





26 მაისი




10 წელი

საქართველოს პირველი
დემოკრატიული რესპუბლიკის
დაარსებიდან



ფოტო ალბომი



100 YEARS
Of Georgia's First
Democratic Republic



კადეტთა სამხედრო ლიხეუვის აკადემიურ-საგანმანათლებლო შესაქმნელობები მისი სამარკო ნიშანი და პოპულარიზაციული კალა - ალექსანდრე გელაშვილი



ალექსანდრე გელაშვილი ერთ-ერთია მათ შორის, ვინც საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ხელშეწყობით, წარმატებით დაამთავრა აშშ-ს ვესტ-პოინტის სამხედრო აკადემია. თუმცა, სასწავლებელში ჩარიცხვამდე მან საკმაოდ რთული შესარჩევი კონკურსი გაიარა, რაშიც კადეტთა სამხედრო ლიცეუმში მიღებული ცოდნა და ლიცეუმში შექმნილი სპეციალური კურსები (TOEFL და SAT) დაეხმარა. ალექსანდრე გელაშვილი კადეტთა სამხედრო ლიცეუმის 2014 წლის ოქტომბრის კურსდამთავრებულია.

რატომ გადაწყვიტეთ კადეტთა სამხედრო ლიცეუმში ჩაბარება?

როდესაც ქუთაისში კადეტთა სამხედრო ლიცეუმში გაიხსნა მეცხრე კლასში ვიყავი. ეს სასწავლებელი ყველა მატერიალურ პირობას უზრუნველყოფს, რათა კადეტებმა ადეკვატური სამოქალაქო და სამხედრო განათლება სრულიად უფასოდ მიიღონ. ეს ჩემთვის მნიშვნელოვანი იყო, რადგან საკუთარი სახსრებით სწავლის გაგრძელების შესაძლებლობა არ მქონდა. ერთადერთი, რაც უნდა გამეკეთებინა, იყო ის, რომ წარმატებით გადამეღებო საგამოცდო ბარიერი. მიუხედავად იმისა, რომ კადეტთა სამხედრო ლიცეუმში

ახალი გახსნილი იყო და ამ სისტემაზე ბევრი არაფერი ვიცოდი, მაინც გადავწყვიტე ჩაბარება. დღეს, ვფიქრობ, რომ ეს ჩემს ცხოვრებაში ყველაზე წარმატებული და სწორი არჩევანი იყო.

ლიცეუმთან დაკავშირებით თქვენმა მოლოდინმა გაამართლა?

ბევრი რამის მოლოდინი მქონდა, ზოგი გამართლდა, ზოგმა გადააჭარბა, ზოგიც არ გამართლდა. როგორც ზემოთ აღვნიშნე, ლიცეუმიდან ველოდი სწორ და მიზანმიმართულ განათლებას. ეს მოლოდინი ამ სასწავლებელმა ნამდვილად გაამართლა. ლიცეუმში არიან უმაღლესი დონის პედაგოგები, რომლებიც ყოველდღიურად ახერხებდნენ კადეტებში ჯანსაღი მსოფლმხედველობის განვითარებას. **თამამად შეიძლება ითქვას, რომ ლიცეუმის აკადემიურ-საგანმანათლებლო შესაძლებლობები ამ დაწესებულების სამარკო ნიშანი და მთავარი მამოძრავებელი ძალაა.** წარმატების მომტანი განათლების გარდა, ლიცეუმში გამიჩნდა საჭირო ცხოვრებისეული კავშირები. რა თქმა უნდა, ლიცეუმში ჩაბარებისას ვიცოდი, რომ ახალ მეგობრებსა და ნაცნობებს შევიძენდი, მაგრამ იქ გატარებულმა სამმა წელიწად-

მა მოლოდინს ბევრად გადააჭარბა. ჩვენ ვკამათობდით, ვმსჯელობდით, ერთად გადავლახეთ ბევრი სირთულე, რამაც ნამდვილი მეგობრები შემიძინა. კადეტთა სამხედრო ლიცეუმში გავიცანი კარგი ადამიანები, მინდა მათთან მთელი ცხოვრება მქონდეს ურთიერთობა. ეს ფაქტიც, ჩემი აზრით, ლიცეუმის ერთ-ერთი ყველაზე მთავარი ღირსებაა. და ბოლოს, როგორც ნებისმიერ სხვა ადამიანს, რომელსაც არასოდეს არანაირი კავშირი არ ჰქონია სამხედრო სტრუქტურებთან, არც მე ვიცოდი და ცოტა არ იყოს მეშინოდა სამხედრო ცხოვრების სტილის. ბევრს ეგონა, რომ ჩემი ფიზიკური მონაცემების გათვალისწინებით სამხედრო წნეხს ვერ გაუძლებდი, მაგრამ ეს შიში სრულიად უსაფუძვლო აღმოჩნდა. სამხედრო ცხოვრების სტილი, რა თქმა უნდა, რთულია, მაგრამ გადაულახავი ნამდვილად არა. თანდათანობით ყველაფერს შევეგუე და ახლა უკვე სამხედრო ცხოვრების სტილი მტკიცედ მაქვს გათავისებული.

როგორ ფიქრობთ, რატომ უნდა ჩააბაროს მოსწავლემ კადეტთა სამხედრო ლიცეუმში?

ჩემი აზრით, მოსწავლეს თუ სურს მიეჩვიოს ჯანსაღი ცხოვრების წესს,


თუ უნდა, რომ დამოუკიდებლად ცხოვრება ისწავლოს და მიიღოს უმაღლესი ხარისხის განათლება სრულიად უფასოდ, უნდა ჩააბაროს კადეტთა სამხედრო ლიცეუმში. ეს არის ის სამი მთავარი მიზეზი, რითაც კადეტთა სამხედრო ლიცეუმში ცალსახად გამოირჩევა სხვა სასწავლებლებისგან.

რა არის ის მთავარი, რაც ლიცეუმმა გასწავლათ?

მთავარი რამ, რაც ლიცეუმში ვისწავლე, არის ის, რომ ცხოვრებაში ბევრჯერ გვეძლევა სხვადასხვა საოცარი შესაძლებლობა და მათი გამოყენება თითოეულ ჩვენთაგანზე დამოკიდებულია. ლიცეუმში კადეტს აძლევს საშუალებას, განვითარდეს აკადემიური, ფიზიკური და სამხედრო სფეროების ფართო სპექტრში. ლიცეუმში ძალიან ბევრი რამის გაკეთების საშუალება მომეცა, მაგრამ მათგან ყველაზე მნიშვნელოვანი იყო ამერიკის შეერთებულ შტატებში სწავლის საშუალება, რამაც ჩემი ცხოვრება სამუდამოდ შეცვალა.

რას იტყვით სასწავლებელზე, რომელიც წელს დაამთავრეთ?

ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო აკადემია, ვესტ



პოინტში, მსოფლიოს უძლიერეს ლიდერთა სკოლად მიიხსენიება. ამ აკადემიის კურსდამთავრებულები წარმატებულები იყვნენ და არიან ამერიკის ჯარში, პოლიტიკასა და სამოქალაქო სექტორში. 48-თვიანი სასწავლო პროგრამა კადეტების სამი ძირითადი მიმართულებით განვითარებას ითვალისწინებს. ესენია:

აკადემიური, სპორტული და სამხედრო. გარდა ამისა, ვესტ პოინტში გიყალიბდება ხასიათი და გომტიკიცდება უნარი - ყოველთვის აკეთებდე იმას, რაც გევალება. არ აქვს მნიშვნელობა, ვინმე გიყურებს

თუ არა. შენში ყოველთვის უნდა არსებობდეს პიროვნება, რომელსაც ექნება მტკიცე ხასიათი და ყოველთვის გაგაკეთებინებს იმას, რისი გაკეთებაც საჭიროა.

დაგეხმარათ თუ არა კადეტთა ლიცეუმში მიღებული განათლება აშშ-ს ვესტ პოინტის სამხედრო აკადემიაში?

რა თქმა უნდა, დამეხმარა. კადეტთა სამხედრო ლიცეუმში ვისწავლე ოჯახისგან დამოუკიდებლად და გაწერილი დღის განრიგით ცხოვრება. ლიცეუმმა მომცა ის საბაზისო ცოდ-

ნა, რომლითაც შევძელი უფრო მეტი რაღაცების მიღწევა ვესტ პოინტში. კადეტთა სამხედრო ლიცეუმის დამთავრების შემდეგ სამივე სფეროში: აკადემიურში, სპორტულსა და სამხედროშიც უფრო მომზადებული ვიყავი, ვიდრე ბევრი სხვა ამერიკელი კადეტი, რომლებიც ჩვეულებრივი სამოქალაქო სკოლებიდან თუ უნივერსიტეტებიდან აბარებდნენ.

რამდენად რთული იყო ვესტ პოინტში სწავლა? ყველაზე რთული დავალება?

ვესტ პოინტში სწავლა იოლი ნამდვილად არ ყოფილა, თუმცა არც წარმოუდგენლად რთული. მთავარია, როდესაც დავალებას მოგცემდნენ, კარგად გაიაზრო რას გეკითხებიან და შესრულება დროულად დაიწყო. დროის სწორად გადანაწილება იყო წარმატების გარანტი. ყველაზე რთული დავალება ჩემთვის, ალბათ, იყო საერთაშორისო ურთიერთობების კვლევითი ნაშრომის დაწერა, რომელიც უნდა ყოფილიყო 20 გვერდამდე. ზოგადად, დიდად ნიჭიერი არ ვარ პუმანიტარულ მეცნიერებებში, ამიტომაც ამხელა მოცულობის საუკეთესო ხარისხის ნაშრომის დაწერა ძალიან გამიჭირდა. თუმცა, როგორც ზემოთ ვახსენე, დროის სწორი გადანაწილებით, ორგანიზებული მუშაობით და ინსტრუქტორების დახმარებით, შეუძლებელი არაფერია და მეც, როგორც ბევრმა ჩემმა თანაკლასელმა, წარმატებით შევასრულე ეს დავალება და შესაბამისი ნიშნებიც მივიღე.

რას იტყვი სასწავლო პროგრამებზე, რომლებსაც იქ გადიოდით, ლექტორებზე, მეგობრებზე?

სასწავლო პროგრამა ვესტ პოინტში ძალიან მრავალფეროვანია. კადეტებმა 4 წლის განმავლობაში უნდა გაიარონ მინიმუმ 40 საგანი. ვესტ პოინტში გაძლიერებული საგანმანათლებლო მეცნიერების დიპლომს, ასე რომ, ძალიან ბევრი სავალდებულო საგნის შესწავლაა საჭირო. ვესტ პოინტში ძალიან ბევრი მიმართულებით შეიძლება საგნების არჩევა, იქ თითქმის ყველა წამყვანი პროფესიებისთვის არის საბაკალავრო პროგრამა. ვესტ პოინტი აქტიურად არის ჩაბმული სხ-

ვადასხვა სამეცნიერო შეჯიბრებასა და კვლევაში. ლაბორატორიები აღჭურვილია უახლესი და უიშვიათესი ტექნიკით. ზაფხულობით კადეტებს შეუძლიათ კვალიფიკაცია აიმაღლონ სხვადასხვა სტაჟირების პროგრამით. ლექტორები არიან ქვეყანაში ერთ-ერთი საუკეთესო პროფესორები და ინსტრუქტორები. ვესტ პოინტი ყოველთვის პირველ ადგილს იკავებს „ფორბსის“ რეიტინგში სტუდენტებისთვის ყველაზე ხელმისაწვდომი ინსტრუქტორების კატეგორიაში. ვესტ პოინტი თითქმის ყოველ წელს პირველია ამავე ჟურნალის რეიტინგის საუკეთესო საჯარო უნივერსიტეტების კატეგორიაში. ვესტ პოინტი ლიდერია აშშ-ს საინჟინრო საბაკალავრო პროგრამებში. რაც შეეხება მეგობრებს, ძალიან ღია და კომუნიკაბელური ადამიანები არიან. მიუხედავად იმისა, რომ ყველა მუდამ დაკავებულია, როდესაც დახმარება გჭირდება, ყოველთვის გვერდით დაგიდგებიან.

საკუთარი გამოცდილებიდან გამომდინარე, რას ურჩევდით კადეტებს?

კადეტებს ვურჩევდი, რომ ლიცეუმში ყოფნისას გააკეთონ რაც შეიძლება მეტი. ლიცეუმში მათ სთავაზობს ათასგვარ შესაძლებლობას და ყოველი მათგანი ძალიან ღირებულია მომავლისთვის. კადეტებს ვურჩევ, რომ სერიოზულად მოეკიდონ ლიცეუმში დაკისრებულ თითოეულ დავალებას, თუნდაც რაღაც ეტაპზე ზოგიერთი მათგანი სრულიად უინტერესო და უნაყოფო ჩანდეს, ბევრ შემთხვევაში შესრულებული დავალების პირველადი ეფექტი აღმაფრთოვანებელი არ არის, მაშინ, როდესაც, მეორე და მესამე დონის შედეგია დავალების მთავარი ამოცანა.

თქვენი სამომავლო გეგმები?

ამ ეტაპზე, ჩემს სამომავლო გეგმებში ბევრი რამ გადაწყვეტილი არ არის. მოვლენები შეიძლება სხვადასხვა მიმართულებით განვითარდეს. მსურს, ჩემი კარიერა კიბერუსაფრთხოების კუთხით გაგაგრძელო. თავდაცვის სამინისტროსთან მაქვს დადებული ათწლიანი მუშაობის კონტრაქტი და ვაპირებ, ჩემი მოვალეობა პირნათლად შევასრულო.





გიორგი კვინიტაძე – ჩვენი პოპონაბები



თავი I

რევოლუცია. – ჩხრეკა. – ბათუმი

რევოლუცია

რევოლუციამ თბილისში მომისწრო. ის-ის იყო ფრონტიდან ჩამოვედი, შვებულებით, 1917 წლის 23 თუ 24 თებერვალს. უკანასკნელად თბილისში 1915 წლის დეკემბერში ვიყავი. ამჯერად კი მსროლელთა მე-4 კავკასიური დივიზიის შტაბის უფროსი გახლდით და ექვსკვირიანი შვებულება მომცეს. კაცმა რომ თქვას, რევოლუცია თბილისში ტელეგრაფით მოვიდა და პირველი დღეები საყოველთაო სიხარულით გამოირჩეოდა. პეტროგრადის მაგალითისამებრ, თბილისში მყისვე ჩამოყალიბდა მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭო. მათ გვერდით იქმნებოდა კავშირები და საბჭოები: პოლონური, უკრაინული, სომხური, ქართული. ფაქტიური ძალაუფლება მაშინვე სოციალ-დემოკრატთა პარტიამ ჩაიგდო ხელთ. სხვების მაგალითისამებრ, ჩამოყალიბდა ქართველ მეომართა კავშირი. მისი პირველი, დამფუძნებელი შეკრება გაიმართა ქართველ თავდაზნაურთა სახლში კ. კაკაბაძისა და პლატონ ლევაგას ინიციატივით. თავმჯდომარეობდა ესტატე მანაბელი (სამხედრო იურისტი). იყვნენ ოფიცრები და ჯარისკაცები. ამ სხდომაზე საკუთარი პროგრამით გამოსვლა მოიწადინა ორმა სოციალ-დემოკრატ-

მა (რასაკვირველია, სამხედრო ფრონტში იყვნენ გამოწვობილნი), მაგრამ არ ალაპარაკეს და იძულებულნი გახდნენ, დარბაზი დაეტოვებინათ. მე მშობლიური ენა არ ვიცოდი და მიჭირდა გამოსვლების საერთო აზრის გაგება. მერე კომიტეტის არჩევა დაიწყო. 15 ოფიცერი და ამდენივე ჯარისკაცი აირჩიეს. ქართულად ვერ ვლაპარაკობდი და რამის გაგებაც მიჭირდა, თან მალე ფრონტზე უნდა წავსულიყავი, მაგრამ მაინც მოხვდი ამ კომიტეტში, თუმცა ძალიან ვუარობდი: ენის უცოდინრად აქტიურ მუშაკობას ვერ ვიქმნოდი. დაიწყო ყოველდღიური სხდომები, ადგენდნენ პროგრამას, ისახებოდა გზები და ა. შ. კომიტეტის თავმჯდომარედ აირჩიეს გენერალი ჩივაძე – სამხედრო იურისტი. ქართული კლუბის შენობაში მოვიყარეთ თავი. გარკვეული დროის შემდეგ გამოვიცხადეს, თქვენთან ლაპარაკი სურთ სოციალ-დემოკრატული პარტიის წარმომადგენლებსო. მაშინ ამ პარტიას ჯერ არ გააჩნდა ის ძალა და ავტორიტეტი, რითაც შემდეგ სარგებლობდა. საერთო შეხვედრა, რატომღაც, თუ არ ვცდები, ამიერკავკასიის ბანკის შენობაში გაიმართა, ლორის-მელიქოვის ქუჩის შორიანხლოს. ჩვენი მხრიდან ვიყავით გენერალი ჩივაძე, სოსო გედევანიშვილი და მე. დათქმულ დროს შევიკრიბეთ. მოვიდნენ ა. ჩხენკელი, ნ. რამიშვილი და გორდენიანი; ეს

უკანასკნელი მერე აღარასოდეს მინახავს მოღვაწეთა შორის. აქ პირველად შევხვდი. თვითონ, ეტყობა, საერთოდ ვერ შემნიშნეს. ჩხენკელი ჩვეული აღერსით გვათათბირებდა, მოღვაწეობა უნდა შეწყვიტოთ. არ გუშენებზე არაფერს ვიტყვი. ქართველ მეომართა კავშირი თანდათანობით სახელს იხვეჭდა, პოპულარობასა და მოწონებას იმსახურებდა. რამიშვილი მოკლედ და ნათლად გვითხრა სათქმელი. უბრალოდ, “გვშლიდნენ“, როგორც რევოლუციის საქმისთვის ხელისშემშლელთ. ჩივაძემ სამართლიანად მიუგო, ჩვენ, ქართველი მეომრები, რევოლუციამ წარმოგვშვა თქვენსავით და თუ გაუქმებას გვიპირებთ, ჩვენი მხრივ, ჩვენც გაგაუქმებთო. ამის მერე საუბარმა ხასიათი იცვალა; მართალია, ვერაფერი მოვილაპარაკეთ, მაგრამ გვთხოვეს, ნუ იაქტიურებთ, რომ რევოლუციის საერთო საქმეს არ ავნოთო. ასე დავიშალეთ.

ამ კომიტეტმა და ქართველ მეომართა კავშირმა ცოტა ხანს იარსება და თანდათანობით ჩაკვდა. მისი თავმჯდომარე, გენერალი ჩივაძე, უცრად კიევში გადაიყვანეს. ბრძანება პეტროგრადიდან მოვიდა. დანარჩენი წევრები თანდათანობით გავიდნენ კომიტეტიდან ვინ ფრონტზე გაემგზავრა, ვინ სხვა ქალაქში რამე თანამდებობაზე. ძნელი მისახვედრი არ არის, ვისი თაოსნობით გადაიყვანეს კიევში გენერალი ჩივაძე. ამის შემდეგ მეც მალე წავედი ფრონტზე; არზრუმში კვლავ ქართველ მეომართა ადგილობრივ კომიტეტში ვიყავი.

ჯერ კიდევ თბილისში ყოფნისას შტაბის ჯარისკაცებისგან გულთბილი მოკითხვის დეპეშა მივიღე. ფრონტზე მიმავალმა ალექსანდროპოლში, ჩვენს სათადარიგო პოლკში შევიარე. აქ პირველად შევხვდი პოლკის კომიტეტს; რამდენიმე დღე იქაური ცხოვრებით ვიცხოვრე და მერე არზრუმში, დივიზიის შტაბში გავემგზავრე. შტაბის შემადგენლობა და ბადრაგი ისეთი გულითადობით შემხვდა, გამიკვირდა. მეორე დღეს დივიზიის კომიტეტი გავიცანი და დაიწყო ჩემი ცხოვრება კომიტეტთან ერთად. კომიტეტისა და ჯარისკაცების გარემოს მივეცი თავი და ცდას არ ვაკლებდი, რომ წესრიგი და საბრძოლო მზადყოფნა შემენარჩუნებინა. ხანდახან მათთან ერთად ვათენებდი. მუშაობას მიმსუბუქებდა ის გარემოება, რომ მთელი ომისას შტაბის უფროსი გახლდით, ყოველთვის ბედი გვწყალობდა და იღბალიც თან გვდევდა; რაც მთავარია, ჩვენი დივიზიის ყოველი ჯარისკაცი მცნობდა. დივიზიის კომიტეტში “დავიმსახურე“, რომ “ჩვენი პოლკოვნიკი“ დამარქვეს და მათ არცერთ თათბირს არ ვაკლდებოდი.

ასე მივატანე ავივისტომდე, როცა ჩვენი დივიზიის მსროლელთა მე-15, კავკასიური პოლკი შემომთავაზეს. შემქედლო, უარი მეთქვა, მით უმეტეს, რომ პოლკს 4-5 თვის განმავლობაში მეთაური არ ჰყავდა, ყველაფერი მოშლილი იყო და არმიის კომიტეტშიც კი ამბობდნენ, ბოლშევიკური პოლკიაო. მაგრამ

ამ შეთავაზებას დაეთანხმდი და წავედი, თუმცა, გულახდილად რომ ვთქვა, გზაში ვფიქრობდი, ხვალვე არ გამომაგდონ ან არ დამაპატიმრონ-მეთქი. მაგრამ ყველაფერი მოგვარდა. “კორნილოვშინამ“ ჩვენთან გაურთულეზღად ჩაიარა.

ამასობაში, თბილისში ქართული კორპუსის ჩამოყალიბებას შეუდგნენ. იმავდროულად, აყალიბებდნენ სომხურ და რუსულ კორპუსებს, ბერძნულ დივიზიას და მაკმიდიანურ კორპუსს. ქართულ კორპუსში, მე-3 დივიზიაში, ბრიგადის მეთაურობა შემომთავაზეს. მე, რასაკვირველია, დაეთანხმდი და ვუპასუხე, ქართულ ჯარში ბატალიონის მეთაურობისთვისაც კი მზად ვარ-მეთქი.

აქ არ შემიძლია არ აღვნიშნო ერთი ფაქტი. ჩემი პოლკის ქართველი ოფიცრები, თბილისიდან რომ ჩამოდიოდნენ, მეუბნებოდნენ, ქართული კორპუსის ჩამოსაყალიბებლად გიხმობენო. გადიოდა დრო, გამოძახება კი არ ჩანდა. დაუკავშირდი შატილოვს, რომელიც კავკასიის ფრონტის შტაბში იყო და ვკითხე, რა ხდება-მეთქი. მიპასუხა, ქართული კორპუსის შტაბის უფროსს, კაპიტან იოსებ გედევანიშვილს ვეტყვი შენს ამბავსო. გადიოდა დრო, გამოძახება არ ჩანდა. რამდენჯერმე ვესაუბრე შატილოვს; მან შეატყო, რომ რაღაც რიგზე ვერ იყო და გამოგზავნა მთავარსარდლის დეპეშა, რომელშიც ეწერა, რომ გამოძახებული ვიყავი ქართული კორპუსის ჩამოყალიბებაში მონაწილეობისთვის. 1917 წლის 7 დეკემბერს თბილისში ჩავედი. კორპუსის მეთაურად დანიშნული იყო პოლკოვნიკი ახმეტელი, მისი შტაბის უფროსად – იოსებ გედევანიშვილი. კორპუსში სამი დივიზია ჰყავდათ: ერთს მეთაურობდა გენერალი ართმელაძე, მეორეს – პოდპოლკოვნიკი კარგარეთელი და მესამეს – გენერალი ანჯაფარიძე. პოდპოლკოვნიკი კარგარეთელის დანიშვნა დივიზიის უფროსად იყო პირველი შეცდომა იმ ადამიანებისა, ვისაც ეკითხებოდა დანიშვნები. მთავარი შეცდომა კი ის გახლდათ, რომ უშუალოდ ჩაერივნენ სამხედრო პირთა დანიშვნაში. რასაკვირველია, როცა სამხედრო საქმე არ გესმის, შეცდომებსაც ვერ აირიდებ: და, აი, მაღალ თანამდებობებზე აღმოჩნდნენ ადამიანები, რომლებიც არ იყვნენ მზად თავიანთი მოვალეობების შესასრულებლად. სახელების ჩამოთვლას არ მოვეყვები, მთავარია არა პიროვნებები, არამედ გარემოებანი, რასაც ამდენი შეუსაბამობა მოჰყვა. მაშინ პირველად შევეჩხე ამ მოვლენას. ძალაუფლების მქონე ხალხი თანამდებობაზე დანიშნისას არჩევდა იმ პირებს, ვისაც ენდობოდა; ოღონდ ენდობოდა არა იმათ, ვინც ამ საქმისთვის სასარგებლო და შესაფერისი იყო, არამედ იმათ, ვინც რევოლუციას თანაუგრძობდა. დანიშვნა პოლკოვნიკ ახმეტელისა, რომლის ძმა სოციალ-დემოკრატთა პარტიის ერთ-ერთი ლიდერი იყო, და კაპიტან გედევანიშვილისა, თავისთავად გულისხმობდა სამხედრო ძალაუფლების გაყოფას სოციალ-დემოკრატ-



ტიულ და სოციალ-ფედერალისტურ პარტიებს შორის. სხვაგვარად რომ ვთქვათ, მნიშვნელობა ენიჭებოდა არა საქმეს, არამედ სულ სხვას – სოციალიზმის დამკვიდრების უზრუნველყოფას. ამგვარი განწყობილების შედეგად არ დააყოვნა. არაფერი არ გამოვიდა – კორპუსი არ ჩამოყალიბდა. შესაძლოა, ვინმემ თქვას, ასეთი დრო იყო, ვერაფერს ვერ ჩამოყალიბებდით; იქნებ ვერც იყოს, იქნებ – არა; სადავო საკითხია; აკი ჩამოყალიბდა სომხური კორპუსი. ასეა თუ ისე, ამ მოტივით არ შეიძლება გამართლება მთავარი შეცდომის: ჩვენი ბელადები არ უნდა ჩარეულიყვნენ სხვის საქმეში.

იანვარში გენერალმა პრეველაძემ სკიმ მიატოვა კავკასიის ფრონტის მთავარსარდლის თანამდებობა და მისი ადგილი ავტომატურად დაიკავა მისი შტაბის უფროსმა, გენერალმა ლებედინსკიმ. ამ უკანასკნელის ადგილზე კი ავტომატურად აღმოჩნდა გენერალი ლევანდოვსკი, რომლის თანამდებობა, სახელდობრ, გენერალ-კვარტირმასისტერის ადგილი, დაიკავა პოლკოვნიკმა შატილოვმა; მისი, გენერალ-კვარტირმასისტერის ადგილი განთავისუფლდა. გენერალური შტაბის ოფიცრობიდან მე, ალბათ, ერთადერთი კანდიდატი ვიყავი ამ თანამდებობაზე. გასათვალისწინებელია, რომ ამ დროს რუსეთთან კავშირი უკვე გაწყვეტილია. გენერალური შტაბის ოფიცრობიდან, ვინც უკვე მეთაურობდნენ პოლკებს, მე ყველაზე უფროსი გახლდით, თუ არ ჩავთვლით რამდენიმე კაცს, მაგრამ ისინი ლევანდოვსკიზე და, რაც მთავარია, შატილოვზე უფროსებიც იყვნენ. როცა ეს ადგილი შემომთავაზეს, ჩემს უფროსობას დავეკითხე; მიიჩნიეს, რომ საქართველოს ეროვნული საბჭოს აზრით, აუცილებელი იყო შტაბში ქართველის ყოფნა. ეს გახლდათ 1918 წლის 11 იანვარი – ხანა, როცა უამრავი საკითხი ხდებოდა გადასაწყვეტი; სხდომებს ბოლო აღარ უჩანდა.

ერთხელ გამომიძახეს სხდომაზე (ფრეილინას ქუჩაზე), რომელსაც თავ-

მჯდომარეობდა ეროვნული საკრებულოს სამხედრო სექციის თავმჯდომარე ნ. რამიშვილი. განიხილავდნენ საკითხს: “უნდა იყოს თუ არა ქართულ ჯარში ის კომიტეტები, რომლებიც რუსულ ჯარშია დაფუძნებული დროებითი მთავრობის მიერ“. სამოქალაქო პირი იყო მხოლოდ თვითონ რამიშვილი; სამხედრო ჩინოვნიკი, ვინმე ფალავა, თუ არ ვცდები, სამხედრო სექციის წევრი გახლდათ. სხდომას 8-10 სამხედრო ესწრებოდა. მე გრძელი სიტყვით მომიხდა გამოსვლა ამ კომიტეტების წინააღმდეგ. აზრი აქა-იქ გამოითქვა. თავმჯდომარე ნ. რამიშვილს კომიტეტებისკენ ეჭირა თვალი. დაიწყო კენჭისყრა. “ვინ არის კომიტეტების წინააღმდეგი?“ – ეშმაკურად იკითხა რამიშვილმა. მაშინვე ხელი ავწიე. “მხოლოდ თქვენ?“ – ირონიულად მკითხა თავმჯდომარემ. “დიახ, მხოლოდ მე, მაგრამ ეგ სულაც არ მენადვლება“ – მივუგე. ამ დადგენილების მიუხედავად, ცხოვრებამ მაინც თავისი გაიტანა და ქართულ ჯარებში კომიტეტები არ შემოულიათ. ერთ-ორ პოლკში თუ გამოჩნდა და 1918 წლის 1 მარტის შემდეგ იქაც მოისპო.

ამასობაში, იანვარში ფრონტიდან უკანდახეული რუსული ჯარის ტალღა მოვარდა. შამქორის ამბები ატყდა. ადგილობრივმა თათრებმა მიმავალ ჯარს შეუტყეს და შამქორში გაანადგურეს. ამბობდნენ, თათრებს თავად თავადი ლიონკა მაღალაშვილი ხელმძღვანელობდა. ამის შემდეგ ჯარი ფრონტს ორგანიზებულად ტოვებდა, რათა განადგურებულ ეშელონთა ბედი არ გაეზიარებინათ. საფრთხე თბილისსაც დაემუქრა. ეშელონებს ეშინოდათ ელისავეტპოლით მგზავრობა, თბილისით და ბათუმით თხოვლობდნენ გავლას და იმუქრებოდნენ. საჭირო იყო ამ ველური ბრბოს დაყოლიება, რომ ელისავეტპოლით წასულიყვნენ და მათთვის თავისუფალი გასასვლელის უზრუნველყოფა. ეს საქმე ჩვენს ბელადებს ხვდათ წილად და საკმაოდ წარმატებითაც გაართვეს თავი. სოღანდუღიდან თბილისისკენ გზა გაიკვალა, თბილისის დასაცავად გამოიყვანეს შეიარაღებუ-

ლი ძალები, არტილერია. ამ ბრბოს სხვაგვარად არ უნდოდა მგზავრობა, თათრების თავდასხმის ეშინოდათ.

ამასობაში, 1917 წლის დეკემბერში ერთი ამბავი მოხდა. თბილისის მუშებმა შექმნეს წითელი გვარდია კონტრრევოლუციურ ძალებთან საბრძოლველად და ქალაქში მართლწესრიგის დასაცავად. იმდროინდელი თბილისის სრულიად სხვადასხვაგვარ მიმდინარეობათა კერა გახლდათ; ათასი ჯურის მოსახლეობა, მტკიცე ხელისუფლების გარეშე დარჩენილი, გაპარტახებული ქალაქი. მდგომარეობას განსაკუთრებით ამწვავებდა ფრონტიდან უკანდახეული არმიის საფრთხე. 12 დეკემბერს თბილისის არსენალი წითელმა გვარდიამ და ჯარის ნაწილებმა ჩაიგდეს ხელთ; თუმცა ფართო საზოგადოებამ არაფერი იცოდა ამ საქმეში ჯარის მონაწილეობაზე. ასეა თუ ისე, ქება-დიდება მხოლოდ გვარდიას ხვდა წილად. აღსანიშნავია, რომ არსენალს არავინ არ იცავდა, იგი გაუსროლელად იგდეს ხელთ. ამ დღიდან დაიწყო წითელი გვარდიის განმტკიცება; 12 დეკემბერი გვარდიის დღესასწაულად იქცა და ამ დღეს ისეთი განსაკუთრებული ზეიმით აღნიშნავდნენ, თითქოს ბასტილის ალების დღე ყოფილიყოს. საქმე იქამდე მივიდა, რომ 1918 წელს, როცა სომხებთან საბრძოლო მოქმედებები დაიწყო, გვარდია ბრძოლის ველზე მხოლოდ თავისი დღის საზეიმო აღნიშვნის მერე გავიდა, თუმცა ომი 7 თუ 8 დეკემბერს დაიწყო, ახლა ზუსტად აღარ მახსოვს. სანაინის ხეობას სროლა აყრუებდა, თბილისის თავზე კი საზეიმო აღმები ფრიალებდა და აეროპლანები დალივლივებდა, სანაინში დაღუპულ მებრძოლთა სულელები კი გაკვირვებით დასცქეროდნენ გოლოვინის პროსპექტზე გვარდიელთა აღლუმს.

როგორც უკვე აღვნიშნე, ქართული კორპუსი ვერა და ვერ დალაგდა. პოლკებში დროდადრო იფეთქებდა ხოლმე არეულობა, ხელისუფლებას არ სცნობდნენ. თბილისში განლაგებულ პოლკში, მესანგრეთა

ვახარმეში გამართულ მიტინგზე ა. ჩხენკელი, რომელიც მოუწოდებდა, შაშხანები ჩააპარეთო, ლამის ძალადობის მსხვერპლი გახდა. საქართველოს ეროვნული საბჭოს აღმასრულებელმა კომიტეტმა გადაწყვიტა ოფიცრების კრების მოწოდება საორგანიზაციო საკითხის გასაშუქებლად და ჯარების ორგანიზაციის გამოსამუშავებლად. ოფიცრებს კიდევ ესიამოვნათ და გაუკვირდათ კიდევ, მე მხარს არ ვუჭერდი საკითხის გადაწყვეტის ამგვარ მეთოდს, მაგრამ მაშინ ერთობ მოდაში იყო ფართო და გრძელი განხილვები. ამას აუცილებლად მიიჩნევდნენ, ლამის კანონად ქცეულიყო. კრება ფრეილინსკის ქუჩაზე, თავადაზნაურთა სახლში გაიმართა. სხდომა შესავალი სიტყვით გახსნა ა. ჩხენკელმა. კამათის შემდეგ გადაწყდა, ამ საკითხის მოსაგვარებლად არჩეულიყო კომისია გენერალ ვ. გაბაშვილის თავმჯდომარეობით. კომისიაში სხვებთან ერთად აირჩიეს პოდპოლკოვნიკი კარგარეთელი, კოტე აფხაზი, გენერალი გედევანიშვილი, გენერალი ბენავეი, პოლკოვნიკი გ. ქავთარაძე და სხვები. დანარჩენები აღარ მახსოვს. მეც ამ კომისიაში მოვხვდი. დაიწყო ყოველდღიური სხდომები, რომლებსაც საკმაოდ კეთილსინდისიერად ესწრებოდნენ. მერე ერთ-ერთ წევრს პოლკოვნიკ ქავთარაძეს დავავალა მოხსენების შედგენა. მოხსენებამ კომისია არ დააკმაყოფილა. ახლა მე დამავადეს მოხსენება; კომისიამ ეს მოხსენება მოიწონა და ოფიცერთა საერთო კრებაზე გამოიტანა დასამტკიცებლად, შემდგომ კი უნდა წარედგინათ ეროვნული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტისთვის. მოხსენების წარსადგენად აგვირჩიეს მე და გენერალი გაბაშვილი. საერთო კრებაზე მოხსენება დიდი ოვაციებით მოიწონეს, იმავე საღამოს წარედგინებოდა იგი აღმასრულებელ კომიტეტს. ამ მოხსენებაზე შევანერებ თქვენს ყურადღებას.

თავმჯდომარე გახლდათ ა. ჩხენკელი. ესწრებოდნენ: ი. რამიშვილი, გრ. ვეშაპელი, ნიკ. ქარცივაძე, კ. გვარჯალაძე, ვეგ. გეგეჭკორი, კაპიტანი იოსებ გედევანიშვილი და მმართველი პარტიის ბევრი სხვა წარმომადგენელი. მოხსენება წავიკითხე. დაიწყო კამათი. ბევრი არ მეთანხმებოდა. თავი და თავი ის იყო, რომ მათი აზრით, არმიაში უნდა შეგვექმნა კომიტეტები და იქ ნებადართული ყოფილიყო პარტიული პროპაგანდა. სხვებთან ერთად ამ აზრს მხურვალედ უჭერდა მხარს კაპიტანი იოსებ გედევანიშვილი. მოწინააღმდეგეების გამოსვლების შემდეგ მე მომცეს სიტყვა. ახლა ყველაფერი აღარ მახსოვს, რაც ჩვენი დებულებების დასაცავად ვთქვი. მახსოვს ი. რამიშვილის შემოდავება, უფრო სწორად შემოდავების ფორმა. მან ხელში აიღო წერილობითი მოხსენება, გადაფურცლა და თქვა: “აქ ყველაფერი ძველია, ახალი ცოტაა“. საკითხავია, იცოდა კი ძველი? თანმიმდევრობით ვაპასუხოვდი ყველა საწინააღმდეგო მოსაზრებას, ამაზე იძულებული გავხდი მეთქვა: “აპასუხის გაცემა მიჭირს, რადგან თქვენი სიტყვები მაკვირვებს, მხოლოდ ერთს გკითხავთ: თუკი ადრე ნაჯახს რკინისგან ამზადებდნენ, დღეს ის ახლებურად, პაპიე-მაშესგან უნდა დამზადდეს?“ მოხსენება დავასრულე





კითხვით – ნამდვილად გვინდა არმიის შექმნა? თუ გვინდა, ჯარი შეიქმნება, თუ არა – თავს რაღაზე ვიწუხებთ. და ბოლოს, კიდევ ერთხელ გავიმეორებ: “თუკი თქვენ იატაკქვეშ მუშაობით შესძლებთ რუსეთის იმპერიის დანგრევა, ახლა ვინ რას შეგიშლით, შედეგით მაგიდებზე, აგიტაცია გაუწვიეთ არმიის შექმნას და არმიაც შეიქმნება. თუ არადა, დროს ტყუილად ნუ დავკარგავთ პროექტების შედგენაში“. ეტეობა, იმთავითვე მიეხვედი, რომ ეს ხალხი არ იყო არმიის, როგორც შეიარაღებული ძალის, მომხრე; მით უმეტეს, ახლა ზოგიერთს არც სცხვინია და დაუფარავად აცხადებს, არმია, და საერთოდ მილიტარიზმი ძირშივე გასანადგურებელიაო. ბოლოს და ბოლოს, გადაწყდა, კიდევ შეგვკრებილიყავით და მოხსენება კიდევ ერთხელ განგვეხილა ამავე კომიტეტში, ოღონდ ნოე ჟორდანიას თანდასწრებით. დავიშალეთ. თუ არ ვცდები, მეორე დღესვე, ყოველ შემთხვევაში, მოხსენების მეორედ განხილვამდე, ეროვნული საბჭოს წევრმა, დათა ვანჩაძემ, მოულოდნელად შეგვეკრიბა რამდენიმე კაცი; აქ იყვნენ გენერლები წულუკიძე, მაზნიაშვილი და სხვები. დათა ვანჩაძემ გამოგვიცხადა, აღმასრულებელმა კომიტეტმა კორპუსის მეთაურისა და შტაბის უფროსის გამოცვლა გადაწყვიტა, თქვენ კი ახლავე უნდა წარმოგიდგინოთ კანდიდატთა სიაო. ისიც მიგვითითა, რომ სიაში უნდა შეგვეყვანა 10 კანდიდატი და აღნიშნული პირები იმ რიგით დაგვენომრა, როგორც შეეფერებოდათ. ამ პატარა სხდომაზე მე

ვთქვი და სხვებმაც მხარი დამიჭირეს, რომ კორპუსის მეთაურობისათვის წარმოდგენილი იქნებოდა ერთადერთი კანდიდატი, რომელიც თვითონ ამოირჩევედა შტაბის უფროსს; რომ ეს იქნებოდა მხოლოდ გენერალი გ. გაბაშვილი და, რომ არავითარ სხვა გვარს არ დავასახელებდით; რომ თუკი გენერალ გაბაშვილს არ დანიშნავდნენ, მაშინ დაენიშნათ ვინც ნებადართო, თუნდ პირველი შემხვედრი შემოეყვანათ ქუჩიდან. ასეც მოიქცნენ. ქართული ჯარის რეორგანიზაციის ჩვენი პროექტის მეორე განხილვას თავმჯდომარეობდა ნ. ჟორდანიას. ესწრებოდნენ იგივენი. საერთოდ, კრება ხალხმრავალი იყო. ესწრებოდა კარლო ჩხეიძეც. აქვე გაირკვა, რომ მოხსენების შემდეგ კორპუსის მეთაურის არჩევას შეუდგებოდნენ. სხდომაზე პირველად შეეხვედი ნ. ჟორდანიას. ამ პიროვნების დასახასიათებლად და იმის წარმოსახენად, თუ რამდენად სერიოზულად ეკიდებოდნენ ლიდერები, ჩვენი ბელადები, არმიის ორგანიზაციის საქმეს, ამას გავისხენებ; სანამ მოხსენებას დავიწყებდი, ნ. ჟორდანიამ მითხრა: “მოგვახსენეთ, რაც შეიძლება მოკლედ და რაც შეიძლება, სწრაფად“. პირველად და ალბათ მკვახედ შევეწინააღმდეგე: “მოგახსენებთ ან ყველაფერს, ან არაფერს“. ასე მეგონა, სათავეში მდგარი პარტიის მეთაური, საქართველოს ეროვნული საბჭოს თავმჯდომარე, მეტი ყურადღებით უნდა მოკიდებოდა საკითხს, მით უმეტეს, რომ პირველ მოხსენებაზევე გადაწყდა ამ განხილვის ნ. ჟორდანიასთვის გამეორება. საერთოდ, ცუდი

შთაბეჭდილება არ დაუტოვებია. მისი მხარდაჭერით მოხსენება სწრაფად დაამტკიცეს. ოღონდ პირობითად. იმოქმედეთ ამ მოხსენების მიხედვით, მაგრამ შემდგომ შეიძლება რამე შეეცვალოს“. შემდგომ, არაერთხელ, უფრო სწორად, თითქმის ყოველთვის, წავწყდომივარ ძალზე მნიშვნელოვანი საკითხების გადაწყვეტის ამგვარ მეთოდს. ნ. ჟორდანიას ჩვენს, ოფიცრების, თვალსაზრისს იზიარებდა არმიასი კომიტეტებისა და პარტიულობის თაობაზე და განაცხადა კიდევ: “რა დროს კომიტეტებია, როცა მტერი საზღვარზე მოგვადგა“. (ამ დროს თურქებმა დაიწყეს შემოტევა და უკვე ჩვენს საზღვრებს დაემუქრნენ). როგორც ჩანს, ეს თვალსაზრისი იმდენად არ შეესაბამებოდა მათ რწმენას, რომ ნ. რამიშვილი გაცეცხლებული წამოხტა და უთხრა: “ნოე, დღეს ვერ გცნობ!“ აღსანიშნავია, რომ პირობითად დამტკიცებული მოხსენება დარჩა ხმად მღალადებლისა; ის არამცთუ ცხოვრებაში არ განუხორციელებიათ, არამედ იმავე საღამოს დაარღვიეს ერთ-ერთი ძირითადი პრინციპი.

ამის მერე დაიწყო კორპუსის მეთაურის საკითხის განხილვა. განხილვაზე მიგვიწვიეს ის ხალხი, ვინც ვმონაწილეობდით დათა ვანჩაძის სხდომაზე, როცა შემოგვთავაზეს კანდიდატთა სიის წარმოდგენა. ჩვენი ბელადები უარს ამბობდნენ გაბაშვილის კანდიდატურაზე და სხვას მოითხოვდნენ; ჩვენ ჩვენსას არ ვიშლიდით და კატეგორიულად ვამბობდით უარს სხვა კანდიდატის დასახელებაზე. ამ სხ-

დომაზე იძულებული გავხდი კიდევ ერთხელ შევდავებოდი ნ. რამიშვილს მისივე ტონითა და სულისკვეთებით. “იცით თუ არა თქვენ, რომ გენერალი გაბაშვილი დემოკრატიულმა საზოგადოებებმა დადგენილებით გადააყენეს თბილისის კომუნდანტის თანამდებობიდან შეუფერებლობის გამო?“ – მითხრა მან. გენერალი გაბაშვილი თბილისის კომუნდანტი იყო, როცა რევოლუცია დაიწყო. იგი სოციალ-რევოლუციონერთა და სოციალ-დემოკრატთა თბილისის აღმასრულებელი კომიტეტის სურვილით მოხსნეს. “იცით თუ არა თქვენ – ვუპასუხე ნ. რამიშვილს – რომ დემოკრატიული ძალები საყარაულო ბატალიონის სახით გენერალ გაბაშვილს გამომშვიდობებისას ყვირილითა და ოვაციებით ცაში ისროდნენ, ხელში აყვანილი მიიყვანეს და ჩასვეს ავტომობილში“.

მე ამ ფაქტს შემთხვევით შევესწარი. არ შემიძლია არ აღვნიშნო ერთი რამ. ა. ჩხენკელმა, როგორც ჩანს, გაბაშვილის კანდიდატურის მხარდასაჭერად, განაცხადა, ჯერ არ მახსოვს, რომ დემოკრატიული ორგანიზაციების თუნდაც ერთ არჩევანს გაემართლებინოსო. დებატების შემდეგ აღმასრულებელი კომიტეტი გავიდა კორპუსის მეთაურის ასარჩევად. აირჩიეს გენერალი გაბაშვილი, რომელიც მანამდე, ჯარების ორგანიზაციის ჩვენი პროექტის წაკითხვის შემდეგ, შინ წავიდა. გენერალ გაბაშვილს აღმასრულებელი კომიტეტის ეროვნულ საბჭოში მოსაწვევად გაუგზავნეს





ჯგუფი, რომელშიც სხვებთან ერთად მე და დათა ვაჩნაძეც ვიყავით. ბინაში მივაკითხეთ და გადავეცით თხოვნა, სხდომაზე მობრძანებულყო. მან მყისვე გამაფრთხილა, შტაბის უფროსად შენ უნდა დაგასახელო. ძალიან ვთხოვე, ეს არაფრისდიდებით არ ჩაედინა და ეროვნული საკრებულოს შენობისკენ რომ მივდიოდით, გზაშიც რამდენჯერმე გავუძეოთ თხოვნა. ვშიშობდი, ვინმეს არ ეფიქრა, ასე გულმოდგინედ იმიტომ მონაწილეობს ჯარების რეორგანიზაციის პროექტის შედგენასა და გენერალ გაბაშვილის დანიშვნის საქმეში, რომ თვითონაც ქართული ჯარების შტაბის უფროსობას უნდა გამოჰკრას ხელი. გენერალმა გაბაშვილმა ისიც კი თქვა, ამ პირობის გარეშე ამ თანამდებობაზე უარს ვიტყვი. რაც შემეძლო, ვცდილობდი დამეშვენიებინა. მიმანდა, რომ ამ არეულ დროში, როცა ყველამ კუთვნილზე მაღალი თანამდებობა მონდობა, როცა ხედავდნენ, რომ პოლკოვნიკი კარგარეთელი დივიზიის უფროსი იყო და კაპიტანი გედევანიშვილი, ვინც 12-15 წლის წინ სასამართლოს ძალით გააძევეს სამსახურიდან, დღეს კორპუსის შტაბის უფროსი გახლდათ, სხვებმაც მონდომეს, რომ თანამდებობები დამსახურებისამებრ კი არ მიეღოთ, არამედ რეგულაციური დაწინაურების შედეგად. რეგულაციის ავანტიურისტთა ინსტინქტებს ჩაახშობდა მხოლოდ ყველაზე უფროსი, მებრძოლი, უზარმაზარი სამხედრო და ცხოვრებისეული გამოცდილებით სავსე, ავტორიტეტული გენერლის დანიშვნა. გენერალ გაბაშვილის სიმტკიცისა მჯეროდა და ვვარაუდობდი, რომ იგი მოუვლიდა უკვე აჭრილ ოფიცრობას. როგორც მერე გამოირკვა, მას მაინც შეუთავაზებია ჩემი დანიშვნა შტაბის უფროსად, მაგრამ ჩემს კანდიდატურაზე კატეგორიული უარი ითქვა. ამან გამახარა და შვევით ამოვისუნთქე. დაბეჯითებით ვაცხადებ, რომ მაშინ ეს თანამდებობა რომ შემოეთავაზებინათ, გადაჭრით უარს ვიტყვოდი, ისევე, როგორც შემდგომში ვამბობდი უარს ჩემთვის მიუღებელ თანამდებობებზე. იმავე 1918 წლის იანვარში ჩემი მეგობარი გენერალური შტაბიდან დრაცენკო რუსული კორპუსის მეთაურად დანიშნეს და დაქინებით მთხოვა, რუსულ კორპუსში დივიზია ჩაიბარეო. მე უარი ვუთხარი. კარიერა არასოდეს მიზიდავდა. აკადემიაში – კარიერის ფაბრიკაში მხოლოდ თოთხმეტწლიანი ოფიცრობის შემდეგ წავიდა, როცა უკვე რუსეთ-იაპონიის ომი მქონდა გამოვლილი, ისიც სრულიად შემთხვევით. ასე თუ ისე, კორპუსის მეთაურად დანიშნა გენერალი გაბაშვილი, შტაბის უფროსად კი პოლკოვნიკი ზაქარიაძე, რომელიც მაშინ ეროვნული საბჭოს სამხედრო სექციის მდივანი გახლდათ. მის ადგილას მე ამ წინადადებას ავიცილებდი. ასეთი საპასუხისმგებლო თანამდებობისთვის, თან ასეთ დროში, უზარმაზარი ცოდნა, გამოცდილება, დამოუკიდებლობა იყო აუცილებელი. გაცილებით გონივრული იქნებოდა, ამ თანამდებობაზე გენერალი გედევანიშვილი დაენიშნათ; მართალია, ის გენერალური შტაბის ოფიცერი არ იყო, მაგრამ აკადემია გავლილი ჰქონდა და არც სამხედრო თუ საბრძოლო გამოცდილება აკლდა.

ჩხრეკა

მაშინდელ წეს-ჩვეულებათა საილუსტრაციოდ გავიხსენებ ერთ ძალზე დამახასიათებელ ამბავს, მე რომ გადამხდა. 25 იანვარს მეუღლითურთ სტუმრად გახლდით ერთ ნაცნობთან, გენერალური შტაბის ოფიცერთან, პოლკოვნიკ იაკუბოვსკისთან. უცრად მასპინძელმა განზე გამიხმო და მითხრა, ახლახან დამირეკეს, თქვენს ბინას ჩხრეკენო, მყისვე შინისკენ გავეშურე. წინ გრძელი გზა მედო – ჩერქეზოვის გავლით მესანგრეთა ქუჩაზე უნდა მივსულიყავი. სახლში აღარ დამხვედრიან ის პირები, ვინც ჩხრეკდა. ჩხრეკის ბრძანება გასცა ჯარისკაცებისა და მუშების დეკუტატთა საბჭომ, რომლის თავმჯდომარე იყო ნ. ჟორდანი. ჩხრეკა ჩაატარა ვინმე ნიჟარაძემ. ამ კაცს დღემდე არ ვიცნობ. წაიღეს იარაღის კოლექცია; ამ იარაღის ნაწილი იაპონიის და უკანასკნელ ომებში, ბრძოლის ველიდან მქონდა წამოღებული. მათ შორის ერთი კარაბინი იყო – საბრძოლო საჩუქარი. გულმოდგინედ უძებნიათ ვაზნები, რაც, რა თქმა უნდა, არ მქონდა. თოფები ჩაურაზავ კოლოფში ელაგა, სასტუმრო ოთახში, როილის ქვეშ; და როცა ჩემს ერთ-ერთ დას ჰკითხეს, სად არის პოლკოვნიკ კვინიტიძის ბინაო და იარაღი მოიკითხეს, პირდაპირ წაიყვანა და აჩვენა. თან სთხოვა, დამლოდებოდნენ. რასაკვირველია, უარი უთხრეს. საერთოდ, მთავარი გამჩხრეკი, როგორც ჩანს, ფიქრობდა, რომ რაც შეიძლება უხეშად უნდა მოქცეულიყო. ჩემმა დამ მითხრა, მასთან ლაპარაკი გამიჭირდაო. ჩხრეკა იმდენად გულმოდგინედ ჩაატარეს, რომ ვაზნებს ბავშვების ოთახში, სათამაშოებს შორის და ურნებშიც კი დაეძებნენ. ამ უხეშობის პასუხად მე გადადგომა მოვითხოვე. დაუშვებლად მიმანდა ჩხრეკის ჩატარება ოფიცერთან, რომელსაც ფრონტის შტაბის გენერალ-კვარტირ-მისტერის თანაშემწის თანამდებობა ეკავა. განსაკუთრებით საწყენი იყო, რომ ჩემთან, ქართველ ოფიცერთან, ქართველებმაც ჩაატარეს ჩხრეკა. რაპორტი გაიგზავნა, თუ არ ვცდები, ე. გეგეჭკორის ბრძანებით. განმეორებთა მიუხედავად, პასუხს ვერ ვეღირსე. ისიც უნდა აღვნიშნო, რომ მთავარსარდლის შტაბის მთელი შემადგენლობიდან ჩხრეკა მხოლოდ ჩემთან ჩატარდა.

თურქეთთან ომი გრძელდება

იმხანად კავკასიაში ხელისუფლება ეკუთვნოდა ამიერკავკასიის კომისარიატს კავკასიის ფრონტს კი მეთაურობდა გენერალი ლებედინსკი, რომლის შტაბშიც კვლავ ვმსახურობდი. თურქები აზერბაიჯანისა და არზრუმის გამოვლით, შავი ზღვის სანაპიროს გაყოფებით, ცერემონიული მარშით მოდიოდნენ. მათ არსად წინააღმდეგობას არ უწყევდნენ. გენერალი ლებედინსკი ყარსში, ფრონტზე მაშინ გაემგზავრა, როცა თურქები ამ ადგილს მოუახლოვდნენ. იგი ნოვო-სელიმთან ბრძოლის ველზეც იყო. თან ვახლდით მე და გენერალი ყორღანოვი. უკან დაბრუნებისას ლებედინსკის ვუთხარი, სომხეთის ჯარი, მარტო ნოვო-სელიმის ბრძოლას კი არ წააგებს, არამედ ყარსსაც დათმობს-მეთქი. მანმადე გენერალი ლებედინსკი ორჯერ იყო ბათუმში, სადაც კომენდანტი გახლ-



დათ გენერალი ქუთათელაძე. პირველი ჩამოსვლის შემდეგ, გენერალ ლებედინსკის მოხსენების მიხედვით, ბათუმში ციხესიმაგრის კომენდანტად მივლინებულ იქნა გენერალი ა. გედევანიშვილი. მე მხარს ვუჭერდი ამ კანდიდატურას. მერე გადაწყვიტეს გენერალი მდივანიც იქ გაეგზავნათ. მე დიდ წინააღმდეგობას ვუწვევდი გენერალ ლებედინსკის წინაშე ორხელისუფლებიანობის ამგვარ უცნაურ შექმნას, მაგრამ დანიშვნა შედგა. გენერალ ლებედინსკის ბრძანებით, ბათუმში გამალბებით დაიწვეს ალყისთვის მზადება და მოახერხეს სამოქმედოდ მოემზადებინათ 70-მდე ციხესიმაგრის ქვეშეში. მეორედ გენერალი ლებედინსკი იქ ე. გეგეჭკორთან – მაშინდელ სამხედრო კომისართან ერთად გაემგზავრა. ფორტები მოვიარეთ. ერდეს მთა უკვე თურქების ხელში იყო. იგი, თუ არ ვცდები, მე-4 პოლკმა ჩააბარა უბრძოლველად. ვიყავით ანარიის ფორტზეც; აქაურმა კომენდანტმა, გიორგის ჯვრით დამშვენებულმა შტაბს-კაპიტანმა შავგულიძემ აღნიშნა, დისციპლინა მთლიანად მოშლილია, ამიტომ იმედი არა მაქვს, რომ ამ გამაგრებას შევინარჩუნებთო. არადა, ძალიან კარგი გამაგრება ჰქონდათ, თითოეული მხროლელი ყოველი მხრიდან ბეტონით იყო დაცული და სათოფურიდან ისროლდა; აქვე იყო ხელოვნური ჯებირები, შეტყობინების გზები, ბეტონის სატყვიამფრქვევო ბუდეები.

ე. გეგეჭკორმა ფრონტიდან წამოსვლისას გიორგის ორდენის მამაც კავალერს უთხრა: “ეს ფორტი მხოლოდ სიკვდილის შემთხვევაში უნდა დათ-

მოთ“. “არის“. – წყნარად მიუგო გმირმა. სიტყვა შეასრულა. ბრძოლისას მოახერხა 50-მდე კაცი შეენარჩუნებინა და მათთან ერთად დაიღუპა. გული მეთუთქება ამ უაზროდ დაღუპული ოფიცრის საცოდაობით. კეთილსინდისიერი, სამშობლოსა და მოვალეობის ერთგული კაცი იყო და გმირულად დაეცა.

ფორტიდან რომ მოვდიოდით, ე. გეგეჭკორმა მკითხა, ნუთუ ასეთ სიმაგრეს დათმობენო. “უდისციპლინობაა. დათმობენ“, - დაბეჯითებით ვუპასუხე. ყველა ფორტზე უჩიოდნენ უდისციპლინობას, დეჰერტირობას, ჯარისკაცების დაუმორჩილებლობას. ახლა ამ მოვლენების გამომწვევ მიზეზებს არ ჩავუღრმავდები. მიზეზები იგივე იყო, რამაც მოშალა ჯერ რუსული არმია, მერე იმ ქვეყნების არმიები, სადაც რეგულაცია მოხდა. ამ მიზეზების კვლევას კავშირი არ აქვს იმასთან, რასაც ადევრ.

მერე მივედით იმ პოლკში, რომელმაც ერდეს მთა მიატოვა. აქ ე. გეგეჭკორმა თამამად უსაყვედურა, ამუნათებდა, ვალსა და მამულს არ უერთგულეთო. ცოტა არ იყოს, შევშოთიდი კიდევ, რამე ველური ინციდენტი არ მოხდეს-მეთქი. ბრბოს ერთი კაცი გამოიყვო და დიდხანს ილაპარაკა, ერდზე არც ვაზნები გექონდა, არც ტელეფონები, არც ტყვიამფრქვევები, ოფიცრებიც კი არ გვყავდაო. მერე მკერდზე მჯიდის ცემით დაასრულა, იძულებული გავხდით მტრისთვის “ბათუმის კედელი“ დაგვეთმო. აშკარად ჯარისკაცს, უბრალო რიგითს, შეგნებული ჰქონდა პოზიციის უბრძოლველად დათმობის მნიშვნელობა.



მე-11 ბატალიონის პირველი დამოუკიდებელი რესპუბლიკის დაარსებიდან 100 წლის იუბილე ავღანეთში აღნიშნეს

ქართველმა მშვიდობისმყოფელებმა საქართველოს პირველი დამოუკიდებელი რესპუბლიკის დაარსებიდან 100 წლის იუბილე ავღანეთში აღნიშნეს. ბაგრამის საავიაციო ბაზაზე შეიარაღებული ძალების I ქვეითი ბრიგადის მე-11 ბატალიონის პირადად შემადგენლობამ საქართველოს პირველი დამოუკიდებელი რესპუბლიკის დაარსებიდან 100 წლის იუბილე იზეიმა. მე-11 ბატალიონის კაპელანმა, დეკანოზმა დავითმა წმინდა დიდმოწამე გიორგის სახელობის ქართულ ეკლესიაში წირვა-ლოცვა აღავლინა. კაპელანმა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის ბრძოლებსა და სამშვიდობო მისიებში დაღუპული გმირებისთვის სულის მოსახსენიებელი პანაშვიდიც გადაიხადა.

საზეიმო ღონისძიება სიმბოლური მარშით გაგრძელდა. გარბენში მონაწილეობა ქართველი მშვიდობისმყოფელების გარდა, ავღანეთის ისლამურ რესპუბლიკაში საქართველოს უფროსმა სამხედრო წარმომადგენელმა, პოლკოვნიკმა კახა ტაბატაძემ და აშშ-ის საზღვაო ქვეითთა კორპუსის ქართული სამეკავშირეო ჯგუფის სამხედროებმაც მიიღეს.

ბაგრამის საავიაციო ბაზაზე საჩვენებელი სწავლებაც გაიმართა. ქართველმა სამხედროებმა სწრაფი რეაგირების, დაშავებულის პირველადი სამედიცინო დახმარების და ევაკუაციის ამოცანები შეასრულეს.

საქართველოს პირველი დამოუკიდებელი რესპუბლიკის დაარსებიდან 100 წლის იუბილის აღნიშვნა სპორტული ღონისძიებით დასრულდა. მე-11 ბატალიონის სამხედროები ერთმანეთს ფეხბურთში შეეჯიბრნენ. გამარჯვებულ გუნდს სერტიფიკატები და სიმბოლური საჩუქრები გადაეცა.

საქართველოს შეიარაღებული ძალების I ქვეითი ბრიგადის მე-11 ბატალიონი „მტკიცე მხარდაჭერის“ მისიას აშშ-ის არმიის ტაქტიკური დაჯგუფება „Manchu“-ს დაქვემდებარებაში ასრულებს. ბატალიონის მთავარი ამოცანა ბაგრამის საავიაციო ბაზის უსაფრთხოება და დაქვემდებარებული ოპერაციის რაიონის კონტროლია.



გაგზავნა დასვის საერთაშორისო დღე დასავალი სამხედროების შვილებს გაის მემორიალმა მიულოცეს



ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღე თავდაცვის მინისტრის სახელით, მთაწმინდის პარკში აღინიშნა. თავდაცვის სამინისტროს სამხედრო მოსამსახურეებმა სხვადასხვა საბრძოლო მოქმედებებში, სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას და საერთაშორისო მისიებში დაღუპული სამხედრო მოსამსახურეების შვილებს მთაწმინდის პარკში უმასპინძლეს. პროექტ „მამის მეგობრისგან“ ფარგლებში სამხედრო მოსამსახურეებმა ბავშვებთან ერთად სხვადასხვა გასართობ ღონისძიებაში მიიღეს მონაწილეობა და ატრაქციონებზე გაერთნენ.

დაღუპული სამხედროების შვილებს მთაწმინდის პარკის წარმომადგენლებმა სპეციალური გასართობი პროგრამაც შესთავაზეს. მოგვიანებით ბავშვებს ნაყინის მწარმოებელი კომპანია „თოლია“ ნაყინით გაუმსაპინძლა.

თავდაცვის სამინისტროს ერთ-ერთ პრიორიტეტს დაღუპული და დაშავებული სამხედრო მოსამსახურეების ოჯახების მხარდაჭერა და მათზე ზრუნვა წარმოადგენს.

ერთი დღე ჯარში - თბილისის კლასიკური გიმნაზიის მოსწავლეებისთვის

საქართველოს თავდაცვის სამინისტროს პროექტის „ერთი დღე ჯარში“ ფარგლებში ვაზიანის IV მექანიზებულ ბრიგადას ამჯერად, თბილისის კლასიკური გიმნაზიის 35-მდე მოსწავლე ესტუმრა. გაცნობითი ხასიათის ვიზიტისას ხელმძღვანელობამ მოსწავლეებს სამხედრო ბაზაზე არსებული უსაფრთხოების წესები და ბრიგადის ინფრასტრუქტურა გააცნო. ახალგაზრდებმა პირადად დაათვალიერეს სხვადასხვა სასწავლო უბანი, სიმულაციური სწავლების ოთახები. მოსწავლეები სპეციალურად მათთვის მოწყობილ სამხედრო ტექნიკისა და შეარაღების გამოფენას დაესწრნენ. ვიზიტის ფარგლებში პირველი კლასიკური გიმნაზიის მოსწავლეებს საშუალება მიეცათ საერთაშორისო ოპერაციებში საქართველოს შეარაღებული ძალების მონაწილეობის მნიშვნელობასა და მიღებულ გამოცდილებაზე ინფორმაცია მიეღოთ. ლექციის ბოლოს შეხვედრა კითხვა-პასუხის რეჟიმში გაგრძელდა. პროექტის „ერთი დღე ჯარში“ მიზანი საზოგადოებისთვის სამხედრო თემებზე ინფორმაციის მიწოდება და ქვეყნის უსაფრთხოების, ნატო-საქართველოს ურთერთობებისა და შეიარაღებული ძალების საერთაშორისო მისიებში მონაწილეების შესახებ ცნობიერების ამაღლებაა.



გაზეთის გავრცელების ხელშეწყობისთვის საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მადლობას უხდის სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს.



სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს